ლიტერატურა – REFERENCES –ЛИТЕРАТУРА

- Сулаквелидзе Г. К. Ливневые осадки и град. – Л.: Гидрометеоиздат, 1967, 409 с.
- Гутман Л. Н. Введение в нелинейную теорию мезометеорологических процессов–Л.: Гидрометеоиздат, 1969, -295 с.
- Матвеев Л. Т. Курс общей метеорологии.
- Хриан А. Х. Физика атмосферы. – Л.: Гидрометеоиздат, 1969, 647 с.
- Воронцов П. А. Аэрологические исследования пограничного слоя атмосферы. – Л.: Гидрометеоиздат, 1960, 451 с.
- Geladze G. Numerical modelling of an ensemble of humidity processes and their interconversion in atmosphere. Reports of enlarged session of the seminar of I. Vekua Institute of applied mathematics, v. 25, 2011.

უაკ 551.551.1, 551.575-6

ფიონების კლასიფიკირებისა და რიცხვითი მოდელირების შესახებ/გელაძე გ. შ., ბეგალიშვილი ნ. ა., ბეგალიშვილი ნ. ნ/ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი შრომათა კრებული. 2014, ტ.120. გვ.16-21 - რუს.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს. დეტალურადაა გამოკვლეული ფიონების გენეზისი. ისინი კლასიფიცირებულია მშრალადიაბატურ, ნოტიო-მშრალადიაბატურ ფიონებად. დასმულია ამოცანა ფიონების რიცხვითი მოდელირების შესახებ ატმოსფეროს ბრტყელი, ორგანზომილებიანი მეზომასტრაბური სასაზღვრო ფენის ფარგლებში. ამოცანა რიცხვითი რეალიზაციის სტადიაზეა. ვიდეოულია პირველი დადებითი რეზულტატები.

About classification and numerical modelling of Foehns. Geladze G. Sh., Begakishvili N. A., Begakishvili N. N./Transaction of the Instituti of Hydrometeorology, Georgian Technical University.-2014,-T.120. pp.16-21., Russ . Summ: Georg., Eng., Russ.

Genesis of Foehns is in detail investigated. They are classified on dryadiabatic, mostadiabatic and most-dryadiabatic Foehns. It is stated a problem about numerical modelling of Foehns in frame of a flat, two-dimensional mesoscale boundary layer. The problem is at a stage of numerical realisation. The first encouraging results are received.

УДК551.551.1, 551.575-6

О классификации и численном моделировании фёнов. Геладзе Г. Ш., Бегалишвили Н. А., Бегалишвили Н./Трудов Института Гидрометеорологии Грузинского Технического Университета Грузии.-2014.-т.120.-с.16-21 - Рус ., Рез. Груз., Анг., Рус

Подробно исследован генезис фёнов. Они классифицированы на сухоадиабатические, влажноадиабатические и влажно-сухоадиабатические фёны. Поставлена задача о численном моделировании фёнов в рамках плоской, двухмерной задачи о мезопограничном слое атмосферы. Задача находится на стадии численной реализации. Получены первые обнадёживающие результаты.

ელექტრო პროცესების სიგრძელ-დროითი გარიანტი გახმაის რეგიონში

ო.მკურნალიძე, მ.ტატიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

გახმაის რეგიონი მოიცავს კახეთის ვაკეს, რომელიც განლაგებულია მდინარე ალაზნის ორივე ნაპირის გასწვრივ და ესაზღვრება ერთი მხრიდან დიდი კავკასიის სამხრეთ ციცაბო კალთებს და მეორე მხრიდან კი ცივგომბორის ქედის ჩრდილო კალთებს. უკანასკნელი წარმოადგენს იორის ზეგანის გაგრძელებას. ზეგანის სამხრეთ-აღმოსავლეთში კი გადაშლილია შირაქის და ელდარის სტეპები.

ალაზნის ველის კლიმატზე არსებით გავლენას ახდენს მისი მოსაზღვრე ქედები. ველის განლაგება ქედებს შორის და მისი აღმართი, ხელს უწყობს ველზე შემოსული ჰაერის მასების კონვერგენციას და მათში აქტუალირებული ტენის კონდენსაციას. ს. გუნიას კვლევების [1] თანახმად, ხშირ შემთხვევაში ინტენსიური პროცესების დროს, ელჭექები გადადის გომბორის ქედზე და მიემართება თელავსა და გურჯაანისაკენ. ზოგჯერ გადაადგილდება ალაზნის ორივე ნაპირით ყვარლის და ლაგოდების მიმართულებით. იმავე კვლევის თანახმად თვითონ ცივგომბორის ქედი წარმოადგენს შიდამასიური ელჭექების წარმოქმნის კერას. ელჭექს, როგორც წესი, თანმოსდევს სეტება, რომელსაც დიდი ზარალი მოაქვს რეგიონის სოფლის მეურნეობისათვის.

წარმოდგენილი კვლევის მასალად აღებულია ელჭექური მახასიათებლების საშუალოდ 70-წლიანი პერიოდის დაკვირვების კახეთის რეგიონში განლაგებული 10 მეტეოროლოგურის საშუალოთვიური და წლიური მონაცემები [2].

ცხრილი: 1. ელჭექური აქტივობის საშუალო წლიური მახასიათებლები

N	მეტეო სადგური	სიმაღლე ზღ.დ. (მ)	ელჭექიან დღეთა რიცხვი		ხანგრძლ. (სთ)		პერიოდი (დღ.)	განმუხტ. რაოდ. (1გმ ²)	
			n	max	n	max		n	max
1	წნორი	223	35	53	77	140	5	7.0	7.7
2	ლაგოდები	302	44	65	142	218	8	7.3	8.0
3	გურჯაანი	410	37	55	114	177	6	7.0	7.7
4	ყვარელი	443	40	59	60	127	4	7.2	7.8
5	ახმეტა	567	39	56	54	151	9	7.1	7.7
6	თელავი	568	48	69	119	179	11	7.5	8.1
7	შირაქი	515	38	52	57	123	5	7.1	7.6
8	სიღნაღი	795	38	49	90	160	4	7.1	7.5
9	დედოფლის წყარო	800	35	56	101	168	6	7.1	7.7
10	საგარეჯო	802	36	54	61	108	5	7.0	7.7
	საშუალოდ ერთ სადგურზე	39	57	86	147	~7	7.2	7.7	

ცხრილიდან ჩანს, რომ კახეთის რეგიონში ელჭექიან დღეთა საშუალო წლიური რიცხვი 35 - 50 ინტერვალშია, მაქსიმალური კი 50 - 70-ში. ყველაზე მეტად ელჭექიანი დღეები დაიკვირვება თელავში, ლაგოდებში და ყვარელში. საქმაოდ დიდი ელჭექური ხანგრძლივობით გამოირჩევა ლაგოდები. ხანმოკლე ელჭექები დაიკვირვება ახმეტაში. ელჭექიან დღეების უწყვეტი რაოდენობა აღწევს 9-11 ახმეტაში და თელავში. რაც ეხება განმუხტვების რაოდენობას ის მთელ რეგიონში 1კვ.მ 7-8 აღწევს, ყველა ამ პარამეტრების მიღებული მნიშვნელობები მიგვითოვებენ რეგიონის საკმაო ელჭექსაშიშროებაზე.

ქვემოდ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია ელჭექიან დღეთა რიცხვის სეზონური განაწილება.


ცხრილიდან ჩანს, რომ კახეთში ყველაზე მეტი ელჭექიანი დღე დაიკვირვება მაისში და ივნისში. ეს ასახულია შემდეგ გრაფიკზე:

ამრიგად, კვლევის შედეგები გვიდასტურებს კახეთის რეგიონის მაღალ ელჭექსაშიშროებას [3]. ეს იმას ნიშნავს, რომ სხვადასხვა სამრეწველო ობიექტების, ენერგომატარებლების, მაღალი ძაბვის ხაზების, ელექტრომოწყობილობების დაზიანების აღძაოობა იზრდება. ელვა მრავალი ტიპის ზემოქმედებით აზიანებს ობიექტებს. ცნობილია თერმული ზემოქმედება, ელექტროდინამიკური, ელექტროპიდრავლიკური, პირდაპირი

დარტყმით ჭარბი ძაბვის გაჩენა, ინდუცირებული ჭარბი ძაბვა, ელექტროსტატიკური ინდუქცია, მაღალი პოტენციალის შემოჭრა, ეწ. გრუნტზე სრიალა დენის გაჩენა და ა.შ [4]. არ უნდა დაგვავიწყდეს ისაც, რომ ელვა ადამიანის სიცოცხლესაც საფრთხეს უქმნის.

ცხრილი 2. ელტექნიან დღეთა რიცხვის სეზონური (III-X თვეები) განაწილება კახეთის რეგიონში.

თვე	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X
სადგური								
წნორი	2	4	9	9	5	5	3	2
ლაგოდები	1	4	9	11	7	6	5	3
გურჯაანი	2	4	10	10	7	5	4	2
ყვარელი	1	3	9	11	7	6	4	2
ახმეტა	1	4	10	10	6	6	4	3
თელავი	2	6	11	12	8	6	4	3
შირაქი	2	4	8	10	7	5	4	2
სიღნაღი	2	5	9	11	8	6	4	3
დედოფლის წყარო	2	4	9	10	6	5	4	2
საგარეჯო	1	3	9	10	6	5	4	2
საშუალო ერთ სადგურზე	2	4	9	10	7	6	4	2



მიღებული შედეგები შესაძლო გამოყენებულ იქნეს ამინდის, კლიმატის სხვადასხვა მოდელების შექმნისას, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში და ელვადაცვის უზრუნველყოფისათვის.

ლიტერატურა – REFERENCES - ЛИТЕРАТУРА

1. Гуния С.У. Грозовые процессы в Закавказье. Гидрометиздат. 1960, 156ст.
2. Holle R.H., Lopez R.E., Arnold L.J., Endres J., 1996.- Insured Lighting-Caused Property Damage in three Western States. J. Appl. Meteor., vol 35, #8, August, pp. 1344-1351.
3. Амირანა მვილი ა., ბერიტაშვილი ბ., მკურნალიძე ი. აღმოსავლეთ საქართველოში ელტექნიან დღეთა რიცხვის მრავალწლიური ვარიაციები. ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები. თომი №21, 2003, გვ. 134-149
4. Базелян Э.М., Райзэр Ю.П. Физика молнии и молниезащита. Изд. ФИЗМАТЛИТ, ISBN 5-9221-0082-3, 2001, 308стр.

უაკ: 551.501.8

ელტექნიან პროცესების სივრცულ-დორითი ვარიაციები კახეთის რეგიონში ი.მკურნალიძე, მ.ტატიშვილი/ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული. 2014, გ120. გვ.22-24 - ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

სტატიაში განხილულია ელტექნიან პროცესები კახეთის რეგიონში მოქმედი მეტეოროსადგურების დაკვირვების მონაცემების გამოყენებით. სტატიისტიკური მახასიათებლების საშუალებით გამოკვლეულია რეგიონის ელტექნიან აქტივობა.

Thunderstorm process spatial-temporal variation on Kakheti region I. Mkurnalidze, M. Tatishvili / Transaction of the Institute of Hydrometeorology, Georgian Technical University.-2043,-T.120. pp.22-24 - Georg. Summ. Georg., Eng., Russ.

The thunderstorm processes have been reviewed based on meteostation observation data in Kakheti region in presented article. Using statistical parameters region thunderstorm activity has been investigated.

УДК: 551.501.8

Пространственно-временные вариации грозовых процессов в Кахетском регионе И. Мкурналидзе, М. Татишвили/ Сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузинского Технического Университета Грузии. -2014, т.120, с.22-24 Груз. Рез. Груз., Анг., Рус.

Грозовые процессы были рассмотрены на основе данных метеостанция наблюдений в регионе Кахети в представленной статье. С использованием статистических параметров была исследована грозовая активность региона

ჰაერის სიცოცივი იმპრეთის რეგიონში

6. ჭელიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

სინოტივე კლიმატის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია. მისი ძირითადი მახასიათებლების წყლის ორთქლის პარციალური წნევა (პპ) და პაერის შეფარდებითი სინოტივე (%) .

საქართველოს რთული ფიზიკურ - გეოგრაფიული პირობების გამო, სინოტივის მახასიათებლების სივრცული განაწილების სურათი ძალზე რთულია. წყლის ორთქლის პარციალური წნევის განაწილება შეესაბამება ტემპერატურის განაწილებას-მისი უდიდესი მნიშვნელობები აღინიშნება შავი ზღვის სანაპირო ზოლში და დასავლეთ საქართველოში. ზღვიდან დაშორებისა და ადგილის სიმაღლის ზრდასთან ერთად წყლის ორთქლის პარციალური წნევა კანონზომიერად კლებულობს. პაერის შეფარდებითი სინოტივე საქართველოს ტერიტორიაზე იცვლება ფართო დიაპაზონში. მისი უდიდესი საშუალო წლიური მნიშვნელობები (80-82%) აღინიშნება სანაპირო რაიონებში, ხოლო უმცირესი (65-70%) - აღმოსავლეთ საქართველოში. დროსა და სივრცეში შეფარდებითი სინოტივე იცვლება მრუდწიროვნად, რაც აისხება პაერის ნოტიო და გაჯერებული ფენების შედარებით მშრალ ფენებთან მონაცვლეობით.

სინოტივის მახასიათებლების სივრცითი - დროითი განაწილება მრავალრიცხოვან ლიტერატურაშია გამოკვლეული, ჩვენ ავღნიშნავთ მხოლოდ მონოგრაფიული ხსიათის შრომებს, სადაც მათი განზოგადოებაა მოცემული [1,2,4]. აღსანიშნავია აგრეთვე ახლახან გამოცემული ატლასი [3], სადაც წარმოდგენილია სინოტივის მახასიათებლების რამდენიმე რუკა, მათ შორის ჩვენი 3 რუკა.

ამჟამად, პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში მიმდინარეობს სამეცნიერო პროექტის შესრულება, სადაც გათვალისწინებულია საქართველოს ცალკეული რეგიონების კლიმატის და კლიმატური რესურსების კვლევა. გასულ წელს დასრულდა იმერეთის რეგიონის გამოკვლევა, სადაც ჩვენ შევასრულეთ სინოტივის მახასიათებლების - წყლის ორთქლის პარციალური წნევის და შეფარდებითი სინოტივის იმერეთის ტერიტორიაზე განაწილების გეოგრაფიული კანონზომიერებების გამოკვლევა.

ცხრილში 1 წარმოდგენილია წყლის ორთქლის პარციალური წნევის წლიური სგლა იმერეთის რეგიონის სხვადასხვა გეოგრაფიულ პუნქტში.

ცხრილიდან ჩანს, რომ წყლის ორთქლის პარციალური წნევა, ისევე როგორც, პაერის ტემპერატურა, წლიურ სვლაში უმცირეს მნიშვნელობებს ზამთარში, ხოლო უდიდესს -ზაფხულში აღწევს. ამასთანავე, ტემპერატურის მსგავსად სიმაღლის ზრდით პარციალური წნევა კლებულობს, რაც კარგად ჩანს ცხრილ 1. - ის მონაცემებიდან.

ამავე ცხრილის ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ პარციალური წნევის საშუალო წლიური მნიშვნელობა რეგიონის ტერიტორიაზე იცვლება 8 პპ-დან 12-13 პპ-მდე ფარგლებში. ამრიგად, პარციალური წნევის საშუალო წლიური მნიშვნელობის ამპლიტუდა აღმატება 4 პპ-ს, რაც საქმაოდ მაღალი მნიშვნელობაა.

ცხრილი 1. პაერის წყლის ორთქლის პარციალური წნევა (პპ)

სადგური, სიმაღლე, მ	თ ვ ე												ა ვ ე ლ ი
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
ქუთაისი, 114	6.0	6.2	7.0	9.6	13.5	17.6	21.6	21.4	17.4	12.4	9.0	6.8	12.4
სამტრედია, 28	6.6	6.8	7.7	10.1	14.4	18.6	22.3	22.5	18.5	13.4	9.8	7.3	13.2
ტყებული, 593	5.4	5.5	6.2	8.5	12.2	15.7	19.2	18.7	15.0	10.9	7.8	6.0	10.9
მთა-საბუეთი, 1242	4.3	4.4	5.0	6.8	10.0	12.5	15.2	14.8	12.1	8.9	6.5	4.8	8.8

წყლის ორთქლის ტერიტორიული განაწილების დეტალურ სურათს იძლევა ჩვენს მიერ შემუშავებული რუკები (იხ. ნახ. 1). წყლის ორთქლის პარციალური წნევა მერყეობს 4-დან 7 პპ ფარგლებში, ისევე, როგორც ტემპერატურა. ის უდიდესია კოლხეთის დაბლობზე. აღმოსავლეთით, აგრეთვე ჩრდილოეთით და სამხრეთით ადგილის სიმაღლის ზრდასთან ერთად ის მცირდება. რეგიონის ტერიტორიაზე პაერის პარციალური წნევა მაღალია და 15-

22 პერიოდში იცვლება. ის უდიდესია აგრეთვე კოლხეთის დაბლობზე, ხოლო უმცირესია მთიან ზონაში - აჭარა-იმერეთისქედზე.

გაზაფხულზე ყველა მეტეოროლოგიური სადგურისათვის შეიმჩნევა პარციალური წნევის ზრდა თვიდან - თვემდე 3-4 პერიოდი. ზაფხულის შემდეგ პარციალური წნევა მონოტონურად ეცემა ყველა თვისა თუ სადგურისათვის ისევ 2,0-3,0 პერიოდი, შემოდგომის თვეებში ეს სხვაობა 5 პერიოდში აღწევს.

პარციალური სინოტივის აგრეთვე მნიშვნელოვანი მახასიათებელია შეფარდებითი სინოტივე. ის წარმოადგენს პარციალური წყლის ორთქლის პარციალური წნევის შეფარდებას გაჯერებული წყლის ორთქლის პარციალურ წნევასთან, იმავე ტემპერატურაზე და იზომება პროცენტებში (%). ეს პარამეტრიც ასევე წარმოადგენს კლიმატის ცვალებად ელემენტს. დამოკიდებულია პარციალური ტემპერატურაზე, ცირკულარულ პროცესებზე, ღრუბლიანობაზე, ქარის რეჟიმზე, ოროგრაფიაზე და ა.შ. როგორც ბევრ სხვა მეტეოროლოგების, ფარდობით ტენიანობას ახასიათებს სეზონური სვლა, თუმცა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ადგილობრივ პირობებზე. მაგალითად, კოლხეთის დაბლობზე ის უდიდესია ზაფხულში და უმცირესი ზამთარში, ხოლო მთებში (მთა-საბუეთი) მაქსიმუმს ზამთარში აღწევს (ცხრილი 2).

ნახ. 1-ზე წარმოდგენილია აბსოლუტური ტენიანობის მნიშვნელობების განაწილება იმერეთის რეგიონისთვის. მისი მნიშვნელობა მერყეობს 4-10 მბ-მდე. მაქსიმუმით კოლხეთის დაბლობზე, მინიმუმით მთებში.


(ცხრილი 2 პარადობითი ტენიანობა (%)

სადგური, სიმაღლე(მ)	თ ვ ე												ც ხ რ ი ლ ი ლ
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
ქუთაისი, 114	68	68	69	66	72	72	76	75	74	71	65	64	70
სამტრედია, 28	76	75	73	72	73	75	78	80	81	79	72	72	76
ტყიბული, 593	73	72	72	69	70	74	79	76	74	73	68	62	72
მთა-საბუეთი, 1242	86	86	84	79	80	82	85	82	84	84	85	84	83




ნახ. 1. წყლის ორთქლის დრეკადობის წლის საშუალო მნიშვნელობათა განაწილება იმერეთის რეგიონისთვის.

ნახ. 2 და ნახ. 3-ზე წარმოდგენილია პარციალური შეფარდებითი სინოტივის იმერეთის ტერიტორიაზე განაწილების რუკები.



ნახ. 2. ფარდობითი ტენიანობა იანვრის თვის საშუალო მნიშვნელობათა განაწილება იმერეთის რეგიონისთვის.



ნახ. 3. ფარდობითი ტენიანობა ივლისის თვის საშუალო მნიშვნელობათა განაწილება იმერეთის რეგიონისთვის.

იანვარში (ნახ.2) დასავლეთ საქართველოში ტენიანობა დიდ საზღვრებში მერყეობს 65-80 %.

ივლისის თვეში (ნახ. 3) ფარდობითი ტენიანობის მნიშვნელობების საზღვრები მერყეობს 70-80 % ფარგლებში. ეს მნიშვნელობები დაიკვირვება იმერეთის ტერიტორიის უმეტეს რაიონებში. შესამჩნევია საერთო კლების ტენდენცია დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ, აგრეთვე, მიმდებარე მთისწინა და მთიან რაიონებში.

შეფარდებითი სინოტივის დღე-დამური მსვლელობისას, როგორც მოსალოდნელი იყო, უმცირესი მნიშვნელობა აღინიშნება შუადღისას, რაც აისხება ტემპერატურის შედარებით მაღალი ფონით.

ჰაერის სინოტივის მნიშვნელოვანი მახასიათებელია დღეთა რიცხვი სინოტივის სხვადასხვა მნიშვნელობით. დოდესაც შეფარდებითი სინოტივე ნაკლებია 30%-ზე, მას მშრალ დღეს უწოდებენ. ასეთი დღეთა რიცხვი რეგიონის ტერიტორიაზე 8-50-ია, მაქსიმუმით კოლხეთის დაბლობზე და მინიმუმით მთებში. შედარებით მეტია ნოტიონ დღეთა რიცხვი, როგორც შეფარდებითი სინოტივე 80%. ასეთი დღეები შეადგენს 67-161-ს, შესაბამისი მინიმუმის და მაქსიმუმის ადგილები შეცვლილია - მინიმუმი კოლხეთის დაბლობზე, ხოლო მაქსიმუმი - მთებში (ცხრილი 3).

ამრიგად, ჩატარებული გამოკვლევის საფუძველზე გამოვლენილია წელის ორთქლის პარციალური წნევის და შეფარდებითი სინოტივის განაწილების ძირითადი კანონზომიერებები იმერეთის ტერიტორიაზე.

ცხრილი 3. მშრალი (შეფარდებითი სინოტივე 30%) და ნოტიო (80%) დღეთა რიცხვი

სადგური, დღეთა რიცხვი	თ ვ ე												წელი
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
ქვთაისი													
მშრალი (30%)	3.5	3.7	5.8	7.8	5.8	3.9	2.1	3.6	3.6	2.9	3.4	4.8	50.9
ნოტიო (80%)	9.1	8.1	8.0	6.7	5.1	3.6	4.3	3.9	4.6	5.4	6.2	7.2	72.2
სამტრედია													
მშრალი (30%)	1.2	1.0	2.7	4.7	3.0	1.4	0.7	0.9	0.8	0.4	1.2	1.8	19.8
ნოტიო (80%)	9.5	7.6	7.4	5.6	4.2	3.0	3.0	3.7	4.6	5.6	6.1	7.6	67.9
ტყიბული													
მშრალი (30%)	2.9	2.5	3.3	6.6	4.0	2.5	1.2	2.0	1.7	2.8	4.0	4.2	37.7
ნოტიო (80%)	10.7	9.2	9.6	8.4	6.9	5.9	7.2	5.8	5.6	6.5	6.8	8.8	91.4
მთა-საბუეთი													
მშრალი (30%)	0.8	0.6	0.7	2.2	0.5	0.2	0.2	0.9	0.3	0.5	0.8	0.8	8.5
ნოტიო (80%)	21.6	18.1	16.4	11.3	10.0	9.3	11.3	8.5	8.3	12.3	16.3	18.3	161.7

ლიტერატურა – REFERENCES - ЛИТЕРАТУРА

- ელიზარაშვილი. საქართველოს კლიმატური რესურსები. თბილისი, 2006.
- კორძახია მ. საქართველოს ჰავა. თბ., 1961.
- საქართველოს კლიმატური და აგროკლიმატური ატლასი. თბილისი. 2011.
- Климат и иклиматические ресурсы Грузиимат 44(50) 1971

უაკ – 551.521

ჰაერის სინოტივე იმერეთის რეგიონში / ნ. ჭელიძე/ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული. 2014, გ120. გვ.25-28 - ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

გამოკვლეულია ჰაერის სინოტივის სივრცითი-დროითი სტრუქტურა იმერეთის რეგიონის ტერიტორიაზე. გაანალიზებულია წელის ორთქლის პარციალური წნევის და ჰაერის ფარდობითი ტენიანობის წლიური სვლის თავისებურებაზე, შედგენილია მათი სივრცობრივი განაწილების რეკენი და გამოვლენილია მათი განაწილების გეოგრაფიული კანონზომიერებები, გამოკვლეულია მშრალ და ნოტიო დღეთა რიცხვის წლიური და ეზონური სვლის კანონზომიერებები.

UDC 551.521

Air humidity in the territory of Imereti / N. Chelidze / Transaction of the Instituti of Hydrometeorology, Georgian Technical University.-2043,-T.120. pp.25-28 - Georg. Summ. Georg., Eng., Russ.

In the territory of Imereti is prospected spatiotemporal structure of air humidity. Are analyzed special aspects of partial pressure of water vanstuning and annual movement of relative air humidity, are drawn up maps of their positional relation and is revealed regularity of their geographic distribution, is prospected currency regularity of annual and seasonal change of dry and damp days.

УДК 551.521

Влажность воздуха в регионе Имерети / Н. Челидзе / Сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузинского Технического Университета Грузии. -2014, т.120с.25-28. Груз. Рез. Груз., Анг., Рус.

Исследована пространственно-временная структура влажности воздуха на территории региона Имерети. Проанализированы особенности парциального давления водяного пара и годового движения относительной влажности воздуха, составлены карты их пространственного распределения и выявлена закономерность их географического распределения, исследована закономерность течения годовой и сезонной смены числа сухих и влажных дней.

0 მათემატის რეგიონის ჰელიონური გენერაციული რასაფეხი

დიასამიძე ც., სამუკაშვილი, რ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

საქართველოს ტერიტორიაზე ჰელიონურგენერაციული რესურსების განაწილების რუკები პირველად შედგენილი იქნა 1959 წელს გ. მელიას [1] და 1963-1971 წლებში ი. ცუცქირიძის [2,3] მიერ, რის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს გააჩნია მნიშვნელოვანი ჰელიონურგენერაციული პოტენციალი, რომელიც შეიძლება წარმატებით იქნას გამოყენებული სხვადასხვა სისტემის და სიმძლავრის ჰელიოდანადგარების გამოყენების პირობებში.

მომდევნო პერიოდში (1987) საქართველოს ტერიტორიის ჰელიონურგენერაციული პოტენციალის კომპლექსური შეფასების, მისი დარაიონების მეთოდური საფუძვლები და ჰელიონურგიის განაწილების მსხვილმასშტაბიანი სქემაზური რუკები დამუშავებული იქნა პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში [4]. ამ ნაშრომში წინა პერიოდის შრომებისგან განსხვავებით ჰელიონურგენერაციული პოტენციალის ტერიტორიული განაწილების დადგრძნის მიზნით გამოყენებულია მზის პირდაპირ და ჯამურ რადიაციებზე, მზის ნათების ხანგრძლივობაზე, დრუბლიანობაზე, პარის ტემპერატურაზე და ქარის სიჩქარეზე მნიშვნელოვანად გაზრდილი ხანგრძლივობის დაკვირვების რიგები. დაკვირვებების მასალა დამუშავდა წინა შრომებისგან განსხვავებით სტატისტიკური და ალბათური ანალიზის მეთოდების გამოყენებით, რის შედეგადაც მნიშვნელოვანად გაიზარდა მზის რადიაციის მახასიათებლების, მზის ნათების ხანგრძლივობის და სხვა აუცილებელი მეტეოროლოგიული ელემენტების სივცულ-დროითი განაწილების თავისებურებების და კადასტრული შეფასებების სიზუსტე. [4]-ში მოცემული ჰელიონურგენერაციული რესურსების ტერიტორიული განაწილების რუკა არ ითვალისწინებს საქართველოს მთიანი რელიეფის მიკროკლიმატურ, ლანდშაფტურ და ოროგრაფიულ თავისებურებებს, მაგრამ მისი შედეგისას მაქსიმალური ასახვა პპოვა საკვლევი ტერიტორიის ზოგადმა ფიზიკურ-გეოგრაფიულმა ხასიათმა და მისმა გავლენამ მზის კადასტრის მახასიათებლებზე. საქართველოს და კერძოდ იმერეთის რეგიონის ძლიერ დანაწევრებული რელიეფის ისეთი ელემენტებისათვის, როგორიცაა სხვადასხვა ექსპოზიციის და დახრილობის ფერდობები, რადიაციული მახასიათებლების (მზის პირდაპირი და ჯამური რადიაცია) განსაზღვრის მიზნით შეიძლება გამოყენებული იქნეს [5,6,7]-ში ცენტრალური კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობზე (0,4-3,8გმ დიაპაზონში) რვა ორიენტაციის და 0-15-30-45-60-75-900 დახრილობის ფერდობებზე მრავალწლიური დაკვირვებების მასალების ანალიზის შედეგად მიღებული გადამთვლელი კოეფიციენტების სიდიდეები.

[4]-ში საქართველოს და კერძოდ იმერეთის ტერიტორიის ჰელიონურგენერაციული რესურსების დონით კომპლექსურ დარაიონებას საფუძვლად დაგდო ისეთი რეპტეზენტატული მახასიათებლები, როგორიცაა პორიზონტალურ ზედაპირზე მზის პირდაპირი რადიაციის დღე-დამური (I,VII), თვის მიხედვით (I,VII), სეზონური (V,IX), წლიური ჯამები. ჯამური რადიაციის დღედამური (I,VII), თვის მიხედვით (I,VII), წლიური ჯამები (მჯ/2). მზის ნათების ხანგრძლივობის დღედამური (I,VII), თვის მიხედვით (I,VII), სეზონური (V,IX) და წლიური ჯამები (სთ), საერთო ღრუბლიანობის რაოდენობა, (I,VII) (ბალებში), საეთო ღრუბლიანობით მოწმენდილ დღეთა რიცხვი წლიური განაწილების სქემაზური რუკაზე [4] იმერეთის ტერიტორია ძირითადად აღმოჩნდა მეოთხე და ნაწილობრივ მესამე ზონაში.

შეოთხე ზონა მოიცავს ძირითადად კოლხეთის დაბლობის აღმოსავლეთ ნაწილს. აქ მზის პირდაპირი რადიაციის ჯამები პორიზონტალურ ზედაპირზე მერყეობენ იანვარში: დღედამური 2-4, თვეში 80-100, სეზონში 1600-1700, წლიური 2600-2700მჯ/მ²-ის ფარგლებში. ივლისში ამ მახასიათებლის სიდიდე შესაბამისად მერყეობს 6-7 (დღედამური) და 200-250 (თვე) საათის ფარგლებში. საერთო ღრუბლიანობის რაოდენობა მერყეობს იანვარში 7.0-7.5, ივლისში 6.0-6.5 ბალის საზ-

ჯამური რადიაციის ჯამები იცვლებიან იანვარში 5-6 (დღედამური), 160-170 (თვე) 4500-4800 (წლიური) მჯ/მ²-ის საზღვრებში, ივლისში კი შესაბამისად-20 (დღედამური) და 550-600 (თვე) მჯ/მ²-ის საზღვრებში. მზის ნათების ხანგრძლივობა მერყეობს იანვარში 3-4 (დღედამური), 90-100 (თვე), 1050-1100 (V-IX) და 1900-2100 (წლიური) საათის ფარგლებში. ივლისში ამ მახასიათებლის სიდიდე შესაბამისად მერყეობს 6-7 (დღედამური) და 200-250 (თვე) საათის ფარგლებში. საერთო ღრუბლიანობის რაოდენობა მერყეობს იანვარში 7.0-7.5, ივლისში 6.0-6.5 ბალის საზ-

ღვრუბებში. წელიწადის განმავლობაში საერთო ღრუბლიანობით მოწმენდილ დღეთა რიცხვი მერყეობს 40-50-ის საზღვრებში. ჰაერის ტემპერატურა მერყეობს იანვარში 5.0-6.0, ივლისში 22-240-ის საზღვრებში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მზის რადიაციის კადასტრის ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტის, როგორიცაა ჯამური რადიაციის წლიური ჯამები, ჩვენს მიერ კოლეთის დაბლობის აღმოსავლეთი ნაწილში და წინამთაში განლაგებული რიგი პუნქტებისათვის (სამტრედია, ვანი წყალტუბო, ქუთაისი, ხარაგაული, საჩხერე, ტყიბული, წიფა) გამოვლილი წლიური ჯამების ΣQ_{R} სიდიდეები (მერყეობენ 4400-4800მ $\text{m}^2/\text{მ საზღვრებში}$) იმყოფებიან ამ მახასიათებლისათვის [4]-ში დადგენილი ცვლილებების დიაპაზონში. წინამთაში განლაგებული ზოგიერთი პუნქტისათვის კი (სადგური წიფა) ჩვენს მიერ გამოვლილი ΣQ_{R} -ს სიდიდე აღემატება 5200მ $\text{m}^2/\text{მ ს-ს}$, რის გამოც ეს სადგური განეკუთვნება [4]-ში მოყვანილი პელიოდერგეტიკული დარაიონების მესამე ზონას, სადაც ΣQ_{R} -ს სიდიდეები მერყეობენ 5000-5200მ $\text{m}^2/\text{მ ს-ს}$ საზღვრებში.

მეოთხე ზონაში პელიოდანადგარების მუშაობის ხანგრძლივობა მერყეობს წელიწადში 1700-1800, ზაფხულის პერიოდში (VI-VIII) 550-650 საათის, მოცდენების ხანგრძლივობა კი შესაბამისად 6900-7000 (წლიწადი) და 1600-1650 (VI-VIII) საათის საზღვრებში. ამ ზონისათვის არსებული კადასტრის მაჩვენებლები უზრუნველყოფენ მათი ცალკეული სახეობების გამოყენებას.

მესამე ზონა მოიცავს კოლხეთის დაბლობის წინამთას, რომელიც შემოფარგლულია რაჭის, მესხეთის და ლიხის ქედებით. ამ ზონაში ჰორიზონტურ ზედაპირზე მზის პირდაპირი რადიაციის თვიური (I, VII) ჯამები ΣQ_{R} იცვლებიან შესაბამისად 100-დან 120მ $\text{m}^2/\text{მ დღე}$ (I) და 350-დან 400მ $\text{m}^2/\text{მ დღე}$ (VII), სეზონური ჯამები (V-IX)-1700-დან 1800მ $\text{m}^2/\text{მ დღე}$ (VII), წლიური ჯამები-2700-დან 2800მ $\text{m}^2/\text{მ დღე}$. ამავე ზონაში ჯამური რადიაციის თვიური ჯამები ΣQ_{R} (I) და ΣQ_{R} (VII) იცვლებიან 220-დან 230მ $\text{m}^2/\text{მ დღე}$ (I) და 600-დან 650მ $\text{m}^2/\text{მ დღე}$ (VII), წლიური ჯამები ΣQ_{R} კი 5000-დან 5200მ $\text{m}^2/\text{მ დღე}$. მზის ნათების ხანგრძლივობა მერყეობს: თვეში 120-130 (I) და 250-270 (VI), სეზონში 1100-1200 (V-IX), წელიწადში 2000-2200 საათის ფარგლებში. საერთო ღრუბლიანობის რაოდენობა იცვლება იანვარში 6.0-6.5 ბალამდე, ივლისში კი 5.0-5.5 ბალამდე. საერთო ღრუბლიანობით მოწმენდილ დღეთა რაოდენობა წელიწადში მერყეობს 50-60-ის ფარგლებში. ამ ზონაში არსებული კადასტრის მახასიათებლები უზრუნველყოფენ მცირე და საშუალო ზომის პელიოდანადგარების რაციონალურ გამოყენებას.

ლიტერატურა-REFERENS-ЛИТЕРАТУРА

1. Мелия Г.Т. Гелиоенергетические ресурсы Грузинской ССР, Тбилиси, Изд-во. ГССР, 1959.
2. Цуцкиридзе Я.А. Солнечный кадастр Грузии Труды Зак НИГМИ вып. 12, 1963.
3. Цуцкиридзе Я.А. Ресурсы солнечной энергии.- В кк: Климат и климатические ресурсы Грузии. Л., Гидрометеоиздат, 1971.
4. Сванидзе Г.Г., Гагуа В.П., Сухишвили Э.В. Возобновляемые энергоресурсы Грузии, Л., Гидрометеоиздат, 1987.
5. Самукашвили Р.Д. К вопросу приближенного расчёта сумм суммарной радиации на склонах в горных районах Кавказа, Труды ВГИ, вып. 57, Л., Гидрометеоиздат 1985.
6. Самукашвили Р.Д. Прямая солнечная радиация на склонах в условиях Большого Кавказа, Труды ВГИ, вып. 62, Л., Гидрометеоиздат 1985.
7. Самукашвили Р.Д. Оценка условий практического использования лучистой энергии солнца в условиях Кавказа, Труды ВГИ, вып. 73, Л., Гидрометеоиздат 1988.

უაპ 551.502.4

იმერეთის რეგიონის პელიოდერგეტიკული რესურსები/სამუქაშვილი რ., დიასამიძე ც./ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2014-ტ.120-გვ.29-31 -ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.
განალიზებულია პელიოდერგეტიკული რესურსების ტერიტორიული განაწილების თავისებურებები.

მეთეოროლოგია, კლიმატოლოგია

METEOROLOGY, CLIMATOLOGY

МЕТЕОРОЛОГИЯ, КЛИМАТОЛОГИЯ

UDC 551.502.4

HIDROMETEOROLOGICAL RESOURCE REGION OF IMERETI /Samukashvili R.D., Diasamidze Ts.O./Transactions of the Institute of Hydrometeorology, Georgian Technical University. -2014. -vol. 120. – pp29-31.- Georg., Summ. Georg., Eng., Russ.

Regularity of territorial distribution of Helioenergetical resource region of Imereti.

2014 პრ-ტ.120

2014 ИМ-В.120

2043 ИГМ-т.120

УДК 551.502.4

ГЕЛИОЕНЕРГЕТИЧЕСКИЕ РЕСУРСЫ В РЕГОНЕ ИМЕРЕТИ/Самукашвили Р. Д., * Диасамидзе Ц. О./ Сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузинского Технического Университета Грузии. - 2014.- т. 120 .-с.29-31 -Груз., Рез. Груз., Анг., Рус.

Проанализированы особенности территориального распределения гелиоэнергетических ресурсов В регионе Имерети.

ნისლი იმართის რეზიონში

დიასამიძე ც.ო, სამუკაშვილი, რ.დ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი


ნისლი განებუთვნება საშიშ მეტეოროლოგიურ მოვლენათა რიცხვს, ის ამცირებს მხედველობის სიშორეს 50 მეტრამდე და მეტად (ძლიერი ნისლი), რითაც უარყოფითად მოქმედებს ტრანსპორტის ყველა სახეობის ნორმალურ ფუნქციონირებაზე. იგი ასევე უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ორგნიზმში მიმდინარე თერმორეგულაციის პროცესებზე.

გენეზისის პირობებზე დამოკიდებულებით ნისლი შეიძლება იყოს შიდამასიური და ფრონტალური, შიდამასიური ნისლის სახეობებია: აღვექციური და რადიაციული ნისლი. მთიან რაიონებში ხშირად აღინიშნება აღვექციური ნისლის ნაირსახეობა-ფერდობების ნისლი. უნდა აღინიშნოს, რომ ნისლის ცალკეულ სახეობებს შორის მკვეთრი ზღვარი არ არსებობს, რადგანაც მათ წარმოშობაში მონაწილეობს მეტეოროლოგიური ფაქტორების მოედი კომპლექსი. იმერთის ტერიტორიაზე ნისლიან დღეთა საშუალო \bar{n} და მაქსიმალური n_{max} რაოდენობა მოცემულია ცხრილ 1-ში [1,2].

ცხრილი 1-ნისლიან დღეთა საშუალო \bar{n} და მაქსიმალური n_{max} რაოდენობა

სადგური	H (მ)	მ კ მ												წელი
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
ტყიბული	593	2	1	2	3	3	1	2	1	1	0.3	0.7	0.8	18
საჩხერე	415	0.9	0.9	0.3	0.3	0.04	0.1	0.1	0.04	0.4	1	1	1	6
ხონი	114	0.3	0.6	0.4	1	1	0.6	0.3	0.3	0.6	0.5	0.3	0.1	6
წყალტუბო	121	0.7	0.4	0.5	1	1	0.3	0.1	0.4	0.4	0.5	0.2	0.1	5
ქუთაისი	114	0.9	1	0.9	2	2	0.8	0.4	0.9	0.6	0.6	0.5	0.7	12
ყორბორული	793	2	2	5	6	4	2	3	2	2	0.8	2	2	33
სამტრედია	28	0.5	0.4	0.5	1	1	0.6	0.5	1	2	1	0.6	0.4	9
საქარა	148	0.4	0.3	1	0.9	0.9	0.2	0.3	0.3	0.3	0.2	0.7	0.3	6
ვანი	46	0.7	0.2	0.6	1	0.9	0.2	0.4	0.6	0.8	2	0.4	0.4	8
დიმი	200	0.1	0.7	2	3	3	0.6	0.7	0.5	0.2	0.2	0.5	0.3	12
მთა საბუქო	1242	23	21	23	20	20	21	24	22	21	22	21	20	258
ხარაგაული	280	0.5	0.6	0.4	0.1	0.4	0.4	0.05	0.4	0.4	0.3	0.3	0.05	4
სურამი	743	0.7	0.5	0.1	0.1			0.04	0.04	0.04	0.1	0.8	0	3
წიფა	673	6	6	6	4	3	1	2	1	0.4	1	3	4	37
n_{max}														
ტყიბული	593	12	11	10	8	11	7	15	6	11	2	8	5	77
საჩხერე	415	3	5	2	2	1	1	2	1	2	4	3	5	14
ხონი	114	2	2	3	5	4	4	1	2	4	2	4	1	12
წყალტუბო	121	5	2	2	4	5	2	1	2	2	3	2	1	14
ქუთაისი	114	4	4	4	5	7	3	4	4	4	2	6	3	26
ყორბორული	793	7	5	13	15	10	7	8	10	4	3	4	7	67
სამტრედია	28	3	2	3	5	4	2	4	5	9	5	2	3	18
საქარა	148	3	3	5	4	6	2	3	3	2	9	3	5	18
ვანი	46	5	2	4	6	5	3	5	4	5	5	3	7	24
დიმი	200	2	5	7	11	10	5	6	2	2	1	2	3	24
მთა საბუქო	1242	30	27	29	28	27	27	30	29	28	30	28	27	291
ხარაგაული	280	3	8	4	1	3	1	1	2	2	2	3	1	15
სურამი	743													
წიფა	673	16	13	14	12	12	5	7	7	2	5	8	10	71

ნახ.1-ზე წარმოდგენილია წელიწადში ნისლიან დღეთა საშუალო \bar{n} და მაქსიმალური n_{max} რაოდენობის აღილის აბსოლუტურ სიმაღლეზე H დამოკიდებულების გრაფიკული სახე



ნახ.1. წელიწადში ნისლიან დღეთა საშუალო \bar{n} და მაქსიმალური n_{max} რაოდენობის ადგილის აბსოლუტურ სიმაღლეზე დამოკიდებულება: ($\blacksquare - 1$) $-n_{max} = f(H)$, ($\blacklozenge - 2$) $-\bar{n} = f(H)$.

დამოკიდებულებები $\bar{n} = f(H)$ და $n_{max} = f(H)$ შეიძლება წარემოდგენილი იქნეს მახვენებლიანი ფუნქციის $y=a/b^x$ სახით, რომელიც გალოგარითმების შემდეგმიიღებსლგა $=$ ლგა $+b$ ლგბ \bar{n} ფვი განტოლების სახეს, საიდანაც მარტივდება a და b პარამეტრების გამოოვლა. დამოკიდებულებებს $\bar{n}=f(H)$ და $n_{max}=f(H)$ აქვს შემდეგი ანალიზური სახე:

$$\lg \bar{n} = 0.46 + 0.27$$

$$\lg n_{max} = 1.28 + 0.17 \quad (2)$$

ამ გამოსახულებებში H იცვლება $0.1\text{--}1.3\text{ }g\text{-მ}$ -ის ფარგლებში. დამოკიდებულებების ანალიზური სახეების დადგენისას შესაბამის გამოთვლებში გამოყენებული იქნა არა ადგილის აბსოლუტური სიმაღლის H გრადაციები $0.2\text{ }g\text{-მ}$ ბიჯით ($0.1; 0.3; 0.5; \dots; 1.3\text{ }g\text{-მ}$), არამედ მათი შესაბამისი ნატურალური რიცხვების რიგი ($1, 2, 3, \dots, 7$). (1) და (2) გამოსახულებებით ნისლიან დღეთა საშუალო \bar{n} და მაქსიმალური n_{max} რაოდენობები წელიწადში განისაზღვრება ლოგარითმების ცხრილების საშუალებებით. შესაბამისი გამოთვლებიდან ჩანს, რომ (1) და (2) გამოსახულებებით გამოთვლილი \bar{n} და მაქსიმალური n_{max} -ის სიდიდეები ახლოა შესაბამის სიმაღლეებზე დაკვირვებებით მიღებულ სიდიდეებთან.

გარდა ნისლწარმოქმნელი ზოგადი პროცესებისა, როგორიცაა შედარებით ციგ ქვეფენილ ზედაპირზე თბილი ჰაერის მასის მოძრაობა, როგორცაც ადგილი აქვს წყლის ორთქლის კონდენსაციას და ადვექციური ნისლის წარმოქმნას, მოწმენდილი ცის პირობებში ქვეფენილი ზედაპირის და ჰაერის მიწისპირა ფენის გაცივება გრძელტალიანი გამოსხივების შედეგად და მასში არსებული წყლის ორთქლის კონდენსაცია რადიაციული ნისლის წარმოქმნით, ორი სხვადასხვა თერმოპიგრომეტრიული თვისებების ჰაერის მასების შერევა (ზღვიდან შედარებით თბილი და ნოტი ჰაერის მასა, ხმელეთიდან კი მშრალი და ცივი ჰაერის მასა), რაც მთავრდება სანაპიროს ნისლის წარმოქმნით, იმერეთის ტერიტორიაზე ნისლიან დღეთა რაოდენობა აგრეთვე დამოკიდებულია ადგილის აბსოლუტურ სიმაღლეზე და ოროგრაფიის თავისებურებებზე. მთიან რაიონებში ამ ფაქტორების გავლენით ადგილი აქვს აღვეციური ნისლის ერტიკალურ ნაირსახეობას-ფერდობების ნისლს, რომელიც წარმოიქმნება შავი ზღვიდან წამოსული ნოტი ჰაერის ფერდობებზე ასვლისას მისი ადიაბატური გაცივების და მასში არსებული წყლის ორთქლის კონდენსაციის შედეგად, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ნისლიან დღეთა რაოდენობას მთიან რაიონებში. როგორც ცხრილ 1-ში მოყვანილი მონაცემებიდან და ნახ. 1-დან ჩანს, იმერეთის ტერიტორიის დაბლობ ნაწილში ნისლიან დღეთა საშუალო რაოდენობა \bar{n} მერყეობს 3-12 დღის ფარგლებში, ხოლო მაქსიმალურ დღეთა რაოდენობა n_{max} 12-26-ის ფარგლებში დაბალ მთაში (0.6-0.8 გ) სიმაღლეზე ამ მაჩვნენებლების სიდიდე მერყეობს შესაბამისად 18-37 და 67-77 დღის

ფარგლებში შეამთის ქვედა საზღვარზე (მთა საბუეთი 1242მ) ეს მაჩვენებლები შესაბამისად ტოლია 258 და 292 დღისა. ე.ი. ადგილის სიმაღლის მატებისას იმერეთის ტერიტორიაზე აღინიშნება შეამთის ქვედა საზღვარზე.

იმერეთის ტერიტორიაზე არსებული მეტეოროლოგიური სადგურების ქსელის მრავალწლიური ინფორმაციის ანალიზის შედეგად, გარდა ნისლიან დღეთა საშუალო და მაქსიმალური რაოდენობისა, გაანალიზდა ნისლიან დღეთა გრადაციების განმეორადობა თვეების და წელიწადის მიხედვით, ნისლების საშუალო ხანგრძლივობა, ნისლების ხანგრძლივობა დღედამის სხვადასხვა დროს. თვეების მიხედვით ნისლიან დღეთა გრადაციების (ინტერვალით 2 დღე) განმეორადობა (1-2, 3-4, 5-6 დღე და ა. შ.) იმერეთის დაბლობ რაიონში მაქსიმალურია 1-2 დღის გრადაციისთვის. წელიწადში იგი იცვლება ხონში 14%-დან (XI, XII) 50%-მდე (IV), წყალტუბოში 15-18%-დან (XI,XII) 50%-მდე (V), ქუთაისში 17%-დან (XI) 60%-მდე (V), სამტრედიაში 27%-დან (I) 54%-მდე (V), აღსანიშნავია, რომ ნისლიან დღეთა მაქსიმალური განმეორადობა ამ გრადაციისთვის (1-2 დღე) იმერეთის დაბლობ ტერიტორიაზე აღინიშნება ძირითადად მაისში (ხონში კი აპრილში), მინიმალური განმეორადობა კი ძირითადად ნოემბერ-დეკემბერში. რაც შეეხება შეა მთაში განლაგებულ მთა საბუეთის სადგურს, აქ დაბლობი რაიონისაგან განსხვავებით, მნიშვნელოვნად მატულობს ნისლიან დღეთა რაოდენობა. აქ დღეების გრადაციებისათვის 1-2 დღიდან 9-10 დღის ჩათვლით. ნისლიანდღეთაგანმეორადობა ნულის ტოლია. აქ ნისლიან დღეთა განმეორადობა ძირითადად მოდის 11-12 და 27-28 დღის გრადაციების ინტერვალზე. ამასთანავე ერთად ნისლიან დღეთა მაქსიმალური განმეორადობა მოდის დღეების შემდეგ გრადაციებზე: 19-20, 21-22, 23-24 და 25-26 დღე. წელიწადში ნისლიან დღეთა სხვადასხვა რიცხვის განმეორადობა (%) მოცემულია ცხრილ 2-ში.

ცხრილი 2. წელიწადში ნისლიან დღეთა სხვადასხვა რიცხვის განმეორადობა, %

სადგური	დღეთა ინტერვალი										
	1-5	6-10	11-15	16-20	21-25	26-30	31-35	36-40	41-45	46-50	51-55
ტყიბული	18	18	18	25	3	3	3	3	3	3	
საჩხერე	35	61	4								
ხონი	41	45	14								
წყალტუბო	38	58	4								
ქუთაისი	4	35	42	15		4					
ყორბოლული			4	14	18	11	11	15	15	4	4
სამტრედია	13	33	38	13							
საქარა	54	15	19	8							
განი	37	26	19	7	4						
	დღეთა ინტერვალი										
	211-220	221-230	231-240	241-250	251-260	261-270	271-280	281-290	291-300		
მთა საბუეთი	4		12	12	28	16	20	4	4		

ნისლების საშუალო ხანგრძლივობა მოცემულია ცხრილ 3.-ში.

(ცხრილი 3. ნისლების საშუალო ხანგრძლივობა (სთ))

სადგური	სთ 3 ქ												
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წელი
ტყიბული	5.0	2.4	6.8	7.0	9.8	2.2	2.2	1.2	1.4	0.4	0.5	1.1	40.0
საჩხერე	3.3	3.3	2.8	3.5	2.5	0.2	2.3	0.5	0.8	3.2	3.5	9.9	35.5
ქუთაისი	2.9	3.1	1.6	4.9	6.5	1.6	0.4	2.1	1.0	1.5	1.4	1.8	28.8
ყორბოლული	8.6	7.9	33.8	37.8	19.4	8.3	12.8	8.7	5.1	2.4	7.6	6.5	158.9
სამტრედია	1.5	1.0	1.6	4.1	3.5	0.9	1.1	3.3	3.2	4.1	1.6	1.1	27.0
საქარა	1.1	1.0	5.2	2.5	2.5	0.7	0.3	0.7	0.5	1.0	0.8	1.1	17.7
მთა საბუეთი	332.2	312.0	334.5	256.1	213.5	203.5	258.3	215.3	202.2	239.3	276.0	269.0	3111.9


როგორც ცხრილ 3.-დან ჩანს, ადგილის აბსოლუტური სიმაღლის მატებისას ნისლების საშუალო ხანგრძლივობა იზრდება და მთა საბუეთში აღწევს 3111.9 საათს წელიწადში.

დამოკიდებულების $t=f(H)$ (სადაც t არის ნისლების საშუალო ხანგრძლოვობა წელიწადში (სთ), -ადგილის აბსოლუტური სიმაღლე (კმ)) გრაფიკული სახე წარმოდგენილია ნახ. 2.-ზე.

2014 პრე-ტ.120

2014 ИМ-В.120

2043 ИГМ-т.120



ნახ. 2 ნისლების საშუალო ხანგრძლივობის დამოკიდებულება ადგილის სიმაღლეზე $t=f(H)$.

ანალიზურად დამოკიდებულება $t=f(H)$ წარმოიდგინება მაჩვენებლიანი ფუნქციის სახით $y=ab^x$, რომელიც ლოგარითმების შედეგად გარდაიქმნება წრფის განტოლებად: $\lg y = \lg a + x \lg b$, რომელიც a და b პარამეტრების სიდიდების მარტივად გამოთვლის საშუალებას იძლევა. დამოკიდებულებას $t=f(H)$ აქვს შემდეგი ანალიზური სახე:

$$\lg t = 0,74 + 0,30 \quad (3)$$

ამ განტოლებაში H იცვლება 0,1-0,9 კმ-ის ფარგლებში. ამ გამოსახულებით ნისლების საშუალო ხანგრძლივობის გამოსათვლელად ადგილის სიმაღლის (H) გრადაციების ნაცვლად (0,1; 0,3; ... 0,9 კმ) გამოიყენება მათი შესაბამისი ნატულარული რიცხვების რიგი (1,2,3,...5). (3) გამოსახულება საშუალებას იძლევა საკმაო სიზუსტით გამოითვალის წლების საშუალო ხანგრძლივობა დაბლა მთაში. შეა მოისაოვის ნისლების საშუალო რაოდენობა დგინდება ექსტრაპოლაციის გზით.

ლიტერატურა-REFERENS-ЛИТЕРАТУРА

1. საქართველოს სამეცნიერო გამოყენებითი კლიმატური ცნობარი, ნავ. 1, თბილისი, 2004.
2. Справочник по климату СССР, вып. 14, Облачность и атмосферные явления, Л., Гидрометеоиздат, 1970.

შაპ 551.502.4

ნისლი იმერეთის რეგიონში / სამუკაშვილი რ. დ., დიასამიძე ც. ო./ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2014.-ტ.120.-გ.32+35-ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

განალიზებულია ნისლის კლიმატური მახასიათებლების ტერიტორიული განაწილების თავისებურებები.

UDC 551.502.4

A FOG REGION OF IMERETI /Samukashvili R.D., Diasamidze Ts.O./Transactions of the Institute of Hydrometeorology, Georgian Technical University. -2014. -vol. 120. -pp.32+35 - Georg., Summ. Georg., Eng., Russ.

Regularity of territorial distribution of fogs climatic characteristic is analyzed.

УДК 551.502.4

ТУМАНЫ ВРЕГОНЕ ИМЕРЕТИ /Самукашвили Р.Д., Диасамидзе Ц.О./ Сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузинского Технического Университета Грузии. -2014. - т. 120 . -с.32-35 -Груз., Рез. Груз., Анг., Рус.

Проанализированы особенности территориального распределения климатических хуманов.

მეზნეასეობა-მეზონეობის აბროკლიმატური კოტენციალი შიდა ქართლში

მელაძე მ.გ.*, გოგიტიძე ვ.გ.**

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

**საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მებადეობის, მევენახეობის და მეღვინეობის ინსტიტუტი

შიდა ქართლი მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების მხრივ, მდიდარი ისტორიული წარსულის მქონე რეგიონად ითვლება. განსახილველი მიკრორაიონი მდებარეობს შიდა ქართლის რეგიონის სამხრეთ ნაწილში - მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, თრიალეთის ქედის ჩრდილო დაქანებებზე. რეგიონში მევენახეობა-მეღვინეობის ხარისხოვანი პროდუქციის საწარმოებლად აგროკლიმატური თვალსაზრისით, ძირითადად ხელსაყრელია თრიალეთის ქედის მდ. მტკვრისაკენ მიმართული შტოქედების (ყელეთი, საცხენისი, წერეთი, ქსილისი, საწკეპლა) ჩრდილო-დასავლეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთის ექსპოზიციის დაქანებები.

მიკრორაიონი მდებარეობს სუბტროპიკული კონტინენტურიდან ზღვის კლიმატზე გარდამავალ ოლქში, სადაც ზამთარი ზომიერად ცივია, ზაფხული ცხელი. ამაღლებულ მთისწინებზე ცხელი ზაფხული თბილი და ხანგრძლივი ხდება. მდ. მდ. ძამა, მაძლება, ტანა, ხებმელა, თემამი, კავთურა და ხეკორძულას ხეობების წყალგამყოფთა მთისწინა ზოლში უმეტესად გვხვდება ტყის ყავისფერი და რუხი ყავისფერი ნიადაგები; დაბლობ ნაწილში ძირითადად გაგრცელებულია ალუვიური-კარბონატული თიხენარი ნიადაგები. მდ. ტანას ხეობა უჭირავს მცირე სისქს ხირხატიან ტყის ყავისფერ ნიადაგებს. ასეთი ნიადაგები გვხვდება დამრეც ფერდობებზე და დელუვიურ შლეიფებზე. აღნიშნული ტიპის ნიადაგები ხელს უწყობს ვაზის ზრდა-განვითარებას და მაღალ პროდუქტიულობას.

შიდა ქართლის მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირი, მარცხენასთან შედარებით თბილია [1]. მ.კორდახია [2] ამ ფაქტს კავკასიონის მარადი თოვლისა და მყინვარებიდან (შედარებით მძიმე) ცივი ჰაერის მასების სამხრეთულ დაქანებებზე პერიოდული დაშვებით ხსნის. მისი აღნიშვნით, მოპირდაპირე მარჯვენა მხარეზე - თრიალეთის ქედის ჩრდილო დაქანებებზე ასეთ მოვლენას ადგილი არ აქვს. მტკვრის მარჯვენა ნაპირი, ჩრდილოეთიდან, დიდ მანძილზე (75 კმ-დე) დაცულია, მარცხენა ნაპირის გასწვრივ მდებარე 800-1200მ აბსოლუტური, 200-600მ შეფარდებითი სიმაღლისა და 6-7 კმ სიგანის კერნაქის განედური სერით. მარჯვენა მხარის მეტ თბილების განაპირობებს, აგრეთვე ცივი ქარების საპირისპიროდ მიმართული ქედის განშტოებები, რომელთა შორის მოქცეულ ხეობებში, მტკვრის აუზში გაბატონებული ქარები დიფრაქციას განიცდის, სუსტდება და თანდათან ნაკლებად ნოტიო ხდება.

განსახილველ ზონაში ძირითადად გაბატონებულია დასავლეთის (52%) და მისი საპირისპირო აღმოსავლეთის (46%) ქარები. აღნიშნული პროცესი თვალსაჩინო ხდება შტოქედით (საცხენისი) დაცული ადგილიდან, მტკვრის ხეობის დაბლობ ნაწილში განვითარებული მაღალტანიან მცენარეულობაზე რეკოგნიცირებული დაკვირვებით.

შიდა ქართლში, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამი 500-600 მმ, სავეგეტაციო ჰერიოდში 300-400 მმ-ის ფარგლებში იცვლება [3]. მრავალწლიური ნალექები ნაკლები რაოდენობით აღინიშნება (475 მმ) ტანას ხეობაში (ატენი), სავეგეტაციო ჰერიოდში კი ნალექები 300 მმ-ზე მეტი მოდის. დასავლეთიდან მომართული ატმოსფერული პროცესები მეტად ტენიანია, ვიდრე აღმოსავლური. ამიტომ, აღმოსავლეთისაკენ მიმართული დასავლეთის ქარზურგა ფერდობები შედარებით ნაკლებ დატენიანებულია, ვიდრე დასავლეთისაკენ მიმართული ქარპირა ფერდობები.

დასავლური მიმართულების ფერდობები, აღმოსავლერთან შედარებით ჩვეულებრივ თბილია, რაც იმ გარემოებით აიხსნება, რომ მოწმენდილ დღეებში დღის პირველ ნახევარში მეტად განათებულ აღმოსავლეთ ფერდობებზე აორთქლებაზე მეტი ენერგია იხარჯება. ამავდროულად, ნაწილობრივ გამომშრალი დასავლეთისაკენ მიმართული დღის მეორე ნახევარში მეტად განათებულ ფერდობებზე უფრო დიდი ენერგია იხარჯება მათ გათბობაზე. ასეთი სხვაობები ნაკლებადაა შესამჩნევი დასავლურ ფერდობებზე.

მტკვრის მარჯვენა მხარეს ბუნებრივად შუშხუნა დგინომასალების საწარმოებლად მოცემული გვაქვს ენდემური და ზოგიერთი ინგროდუცირებული ვაზის ჯიშების გავრცელების მოკლე აგროკლიმატური დახასიათება.

თაგვევერი - ქართლის მასობრივი მოხმარების სუფრის წითელფერდნიანი, საგვიანო სიმწიფის პერიოდის საღვინე ვაზის ჯიშია. ყურძენი ოქტომბრის პირველ ნახევარში მწიფდება. ხარისხოვანი პროდუქცია ზღ. დონიდან 450-600 მ სიმაღლის ფარგლებში მიიღება, სადაც აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 3500°C აღწევს. ყურძნის მარცვლი სქელგანიანი და ხორციანია. მწიფე ყურძენში შაქრიანობა 19-21%, მჟავიანობა 7.5-8.5 გ/დმ³ ფარგლებშია. მიკრორაიონში, 450-550მ სიმაღლის საზღვრებში 3500°C-მდე აქტიური ტემპერატურა 10 წელიწადში 7-8-ჯერ გროვდება.

ჩინური - საშუალო-საგვიანო სიმწიფის პერიოდის თეთრყურდნიანი ვაზის საღვინე ჯიშია. აღნიშნულ მტკვრის მარჯვენა მიკრორაიონში კვირტის გაშლა აპრილის შუარიცხვებიდან დაიკვირვება, ყვავილობა - ივნისის პირველ პერიოდში, ყურძნის სიმწიფე აგვისტოს მესამე დეკადის დადგომიდან იწყება. ყურძენი სრულ სიმწიფეში შედის ოქტომბრის შუარიცხვებამდე. კვირტის გაშლიდან სიმწიფის დაწყებამდე საჭიროა 2400°C-მდე აქტიურ ტემპერატურათა ჯამი. მოცემული ჯიში ხირხატიან ყავისფერ, მდელოსა და ყომრალ ნიადაგებზე იძლევა 17-21% შაქრიანობისა და 8-10 გ/დმ³ მჟავიანობის ღვინომასასალას, რომლისგანაც მზადდება მაღალხარისხოვანი ევროპული ტიპის სუფრისა და ბუნებრივად შუშეუნა „ატენური“ ტიპის ღვინოება. შემაღლებულ ადგილებში კი - მიიღება საკუპაჟე ღვინომასასალა ბუნებრივად შუშეუნა (შამპანური ტიპის) ღვინოების დასამზადებლად.

გორული მწვანე (სიხ. ქვიშეური) - საშუალო, საგვიანო სიმწიფის პერიოდის, თეთრყურდნიანი საღვინე ვაზის ჯიშია, კვირტის გაშლას და ყურძნის სიმწიფეს 2-3 დღით გვიან, ხოლო ყვავილობას ორი დღით ადრე იწყებს, ვიდრე ჩინური. ამ ჯიშს ახასიათებს შაქრის დაგროვების მეტი (2%) უნარი, ოდნავ ნაკლები მჟავიანობა (0.5გ/დმ³), ვიდრე ჩინურს. სრულ სიმწიფეში ყურძნის შაქრიანობა 21-23%, ცალკე დაყენებულ ადგილებში უფრო მეტსაც აღწევს. ამიტომ მიკროზონაში, სადაც აგროკლიმატური პირობები, ჩინური ყურძნის მოსამწიფებლად არასაკაორ გორული მწვანე უნდა გაშენდეს. ღვინომასასალა განსაზღვრულ შემთხვევაში გამოიყენება საკუპაჟედ, როგორც სუფრის, ისე შუშეუნა (შამპანური ტიპის) ღვინოების დასამზადებლად.

ბუდეშური თეთრი - თეთრყურდნიანი, საშუალო სიმწიფის პერიოდის, საღვინე ვაზის ჯიშია. ყურძენი სრულ სიმწიფეს 2-3 კვირით ადრე იწყებს (შედარებით ჩინურთან), რისთვისაც საჭიროა 3150°C-მდე აქტიურ ტემპერატურათა ჯამი. სექტემბრის მესამე დეკადაში ყურძნის შაქრიანობა 17-19%, მჟავიანობა კი - 6-8 გ/დმ³ შეადგენს. ბუდეშური თეთრისაგან ცალკე დაყენებული ღვინო ნაკლებსხეულიანი და ხანგრძლივად შენახვისუნაროა. ბუდეშური თეთრი იძლევა ხარისხოვან ღვინომასასალას, როგორც სუფრის, ისე შუშეუნა ღვინის დასამზადებლად.

ალიგორებ (სიხ. მუხრანული) - ფრანგული თეთრყურდნიანი, ადრეული პერიოდის საღვინე ვაზის ჯიშია. ყურძენი სრულ სიმწიფეში შედის სექტემბრის პირველ ნახევარში. ცქრიალა ღვინოების დასამზადებლად ყურძნის შაქრიანობა 19%, საერთო მჟავიანობა 8-10 გ/დმ³ შეადგენს. მაღალხარისხოვანი სუფრის ღვინის მისადებად ყურძენი იკრიფება 19-21% შაქრიანობისა და 8-9 გ/დმ³ მჟავიანობისას. ყურძნის სიმწიფე მოსალოდნელია 2400°C აქტიური ტემპერატურათა ჯამის დროს, ხოლო ტემპიკური სიმწიფე 2800°C აქტიურ ტემპერატურათა ჯამის დაგროვებიდან.

პიხო (თეთრი და შავი) - საადრეო სიმწიფის პერიოდის ფრანგული საღვინე ვაზის ჯიშებია; დარაიონებულია საქართველოს მევნახეობის ყველა რაიონში. ყურძნის მომწიფება აგვისტოს პირველ დეკადაში, 2300°C აქტიური ტემპერატურის ჯამის დროს, ხოლო სიმწიფე სექტემბრის შუარიცხვებამდე, 2700-2800°C დაგროვებიდან ადინიშნება. ამ ჯიშის პროდუქცია გამოიყენება სუფრისა და შუშეუნა (შამპანური ტიპის) ღვინომასასალების დასაყენებლად. შუშეუნა ღვინოების დასამზადებლად მიკრორაიონში ყურძენი სექტემბრის დასაწყისში იკრიფება, ხოლო სუფრის ღვინის დასაყენებლად - ორი კვირის დაგვიანებით. სრულ სიმწიფეში მათი ყურძნის შაქრიანობა სუფრის ღვინოსათვის 20-22%, მჟავიანობა 7-8 გ/დმ³ შეადგენს.

შარდონე - ფრანგული თეთრყურდნიანი, ადრეული პერიოდის ვაზის ჯიშია, როგორც მაღალხარისხოვანი პროდუქციის მომცემი სუფრისა და შუშეუნა (შამპანური ტიპის) ღვინის მწარმოებელი - პერსეკტიულია შიდა ქართლის მიკრორაიონის მთისწინებზე. ყურძენი იკრიფება სექტემბრის პირველ ნახევარში. მწიფე ყურძენი შეიცავს 18-22% შაქარს და 8-10

გ/დმ³ ტიტრულ მჟავიანობას. შუშეუნა დვინოსათვის მოცემული ჯიშის ფერძენი სექტემბრის პირველ პენტადაში იკრიფება.

ფრანგული ვაზის ჯიშები (ალიგოტე, შარდონე, პინო - თეთრი, შავი) წარმატებით შეგვიძლია გავავრცელოთ ზონებში, სადაც აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 2800-3000°C ფარგლებშია. ასეთი რაოდენობის ტემპერატურათა ჯამი შიდა ქართლში - მტკვრის მარჯვენა ნაპირზე 950-1000 მ სიმაღლემდე გროვდება.

ყველა დახასიათებული ჯიშის სითბოსადმი მოთხოვნილების სიმაღლითი საზღვრების დიფერენცირება-კონსტანტირებისათვის, ჩვენს მიერ შედგენილი იქნა რეგრესის განტოლება: $S_t = 4393 - 1.66H$,

სადაც S_t - ტემპერატურათა ჯამია, H - ზღ. დონიდან აბსოლუტური სიმაღლე. ზემომითითებულ მიკრორაიონში, ზღ. დონიდან 450-100 მ სიმაღლემდე აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 3650-2700°C ფარგლებშია. პაერის საშუალო დღედამური ტემპერატურია 10°C-ზე ზევით მდგრადი გადასვლა აპრილის მეორე ნახევრიდან დაიკვირება, ხოლო ქვევით ოქტომბრის მეორე ნახევრაში. სავაგებაციო პერიოდის ხანგრძლივობა 205-160 დღეს შეადგენს, უთბილესი თვის საშუალო ტემპერატურა - 19.5-23.5°C; ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამი 500-650 მმ, სავეგებაციო პერიოდში 300-430 მმ ფარგლებშია.

მიკრორაიონში, დღისა და დამის ხანგრძლივობა დამოკიდებულია ადგილის გეოგრაფიულ განედზე, პორიზონტის გახსნილობაზე და მზის დახრილობაზე. საცდელ მიკრორაიონში ჩრდილო განედის 42°00' და აღმოსავლეთ გრძედის 44°00' კოორდინატებზე (სკრა), სავეგებაციო პერიოდში დღის ხანგრძლივობა 11 საათიდან 15 საათის და 15 წუთის საზღვრებში იცვლება. მცენარეთა მწვანე მასის მიერ ნივთიერებათა შეთვისების (ასიმილაცია) პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს მზის „ამოსვლიდან“ (დისკოს ზედა კიდე) „ჩასვლამდე“ პერიოდში პაერის ტემპერატურის თანადათანობით მატებას. დღის მაღალი ტემპერატურები ხელს უწყობს ფოტოსინთეზის სრულყოფილად წარმართვას. ქლოროფილი, სიცვრი ენერგიის შთანთქმის დახმარებით ქმნის რთულ ორგანულ და არაორგანულ ნივთიერებებს -ნახშირორჟანგი, ნახშირწყალი და სხვ., რასაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ბუნებრივად ცქრიალა (შამპანური ტიპის) დვინომასალების წარმოებისათვის. ყურძნის მარცვლებში შაქარდაგროვებაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს პაერის ტემპერატურის დღედამური ამპლიტუდა; ე.ი. დღის საათებში - მაქსიმალურ და დამით მინიმალურ ტემპერატურებს შორის სხვაობა. ყურძნის სიმწიფის პერიოდში (VIII-X) მიკრორაიონში დღედამური ამპლიტუდა 10.0-10.6°C ფარგლებში იცვლება. ამპლიტუდის მატებით ხდება ყურძნის მომწიფების პერიოდის შემოკლება და მათში შაქარდაგროვების ინტენსიური მატება.

რადიაციის ინტენსივობა ჭიდროდაა დაკავშირებული მზის ნათების ხანგრძლივობასთან, რომელიც შიდა ქართლის ცენტრალურ ნაწილში (სკრა, გორი) მეტად ხანგრძლივია და წლიურად 2340 სთ, ხოლო სავეგებაციო პერიოდში 1735 სთ უდრის.

მიკრორაიონში, ჩრდილოეთის მხრიდან ცივი პაერის მასების უშუალო შემოდინებას კვერნაქის სერი იცავს. ამასთან, თრიალეთის ქედის შტოქედებით, მტკვრის ხეობაში გაბატონებული ქარებისაგან დაცულ ფართობებზე, მრავალწლიური აბსოლუტური ტემპერატურებიდან საშუალო მნიშვნელობა 3-5°C-ით უმჯობესდება, მტკვრის სანაპირო ზოლთან და მარცხენა ნაპირზე არსებულ ზონებთან შედარებით; სადაც ეს პარამეტრი - 17-19°C ფარგლებშია. ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფ. თაგვეთიდან ($H=720\text{მ}$) თბილისამდე (მუხათგვერდი, $H=500\text{მ}$) პირდაპირი ხაზით მანძილი დაახლოებით 100 კმ-ია. შიდა ქართლის ეს ნაწილი მტკვრის მარჯვენა ნაპირს სამხრეთიდან საზღვრავს თრიალეთის ქედის თხემური ნაწილი. უკიდურეს ჩრდილო ნაწილში მდ. მტკვარი გაედინება, რომელსაც მარცხენა შენაკად მდ. დირბისფრონედან მდ. არაგვამდე დაახლოებით 75 კმ მანძილზე (მცხეთამდე) გასდევს კვერნაქის სერი; საცდელ ტერიტორიას დასავლეთიდან, თრიალეთის ქედის ყელეთის შტოქედსა და მარცხენა ნაპირზე ლიხის ქედს შორის გამავალი მტკვრის ვიწრო ხეობით ისაზღვრება. მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე შიდა ქართლის პიდროგრაფიული ქსელი ძირითადად წარმოდგენილია თრიალეთის ქედის თხემური ნაწილიდან მომდინარე მარჯვენა შენაკადებით: ძამა, მადლება, ტანა, ხემელა, თებამი, კავთურა და ხეკორძულა. აღნიშნულ მდინარეთა ხეობებს ერთმანეთისაგან გამოყოფს

თრიალეთის ქედიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით მტკბრისაკენ მიმართული შტოქედები: ეკლეთი, საცხენისი, წერეთი, ქსილისი და საწკეპელა. მიკრორაიონში არსებულ მდინარეთა ხეობების ერთმანეთთან სიახლოვე, რელიეფური, კლიმატური და ნიადაგური პირობების მსგავსება გვაძლევს საფუძველს - ჩვენს მიერ მდ. მაძლებასა (სკრა) და ტანას (არენი) ხეობებში ვაზზე ჩატარებული გამოკვლევები სიმაღლითი საზღვრების თანმიმდევრულად, აპრილულად განვაზოგადოთ მიკრორაიონის სხვა მდინარეთა ხეობებისთვისაც. სხვადასხვა მიმართულების ღვინომასალების საწარმობლად ვაზის ჯიშების გაადგილება დაახლოებით ერთნაირ სიმაღლით საზღვრებში უნდა მოხდეს.

შიდა ქართლში, მტკბრის მარჯვენა ნაპირზე, სიმაღლითი ზონალობის მიხედვით, წარმოდგენილია სხვადასხვა მიმართულების ღვინომასალათა საწარმოო მიკროზონების ძირითადი აგროკლიმატური მახსასიათებლები.

1. სუფრის ღვინოების საწარმოო მიკროზონა, რომელიც მიკრორაიონში ვრცელდება ზღ. დონიდან 450-600 მ სიმაღლეთა საზღვრებში; მიკროზონა გამოიყენება სუფრის ღვინოების საწარმოებლად. მაღალხარისხოვანი ღვინომასალები მიიღება ჯიშებისაგან: თავისებრი, ჩინური, გორული მწვანე, შავკაპიტო და სხვ. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 3650-3500°C. უთბილესი თვეების საშუალო ტემპერატურა 21-23°C, ნალექების წლიური ჯამი 550-650 მმ, სავეგებაციო ჰერიოდში 300-400 მმ. ღვინომასალების კონდიცია - 19-21% შაქრიანობა და 7-8გ/დმ³ საერთო მჟავიანობა [4].

2. ბუნებრივად ცქრიალა „ატენური” ტიპის ღვინოების საწარმოო მიკროზონა - ვრცელდება ზღ. დონიდან 550-650 მ სიმაღლის ფარგლებში. გასავრცელებლად რეკომენდებული ჯიშებია: ჩინური, გორული მწვანე, ბუდეშური თეთრი. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 3600-3400°C. უთბილესი თვეების საშუალო ტემპერატურა 22.5-21.0°C. ნალექების წლიური ჯამი 550-600 მმ, სავეგებაციო ჰერიოდში 300-400 მმ. ღვინომასალის კონდიცია - 18-20% შაქრიანობა და 7-8გ/დმ³ საერთო მჟავიანობა.

3. ბუნებრივად შუშეუნა და ცქრიალა (შამპანური ტიპის) ღვინომასალების საწარმოო მიკროზონა ვრცელდება ზღ. დონიდან 600-950 მ სიმაღლის ფარგლებში. იგი იყოფა ორ ქვეზონად: 1) ზღ. დონიდან 600-750 მ სიმაღლეშე აქ გასავრცელებლად რეკომენდებულია: ჩინური, გორული მწვანე, ბუდეშური თეთრი, ალიგოტე, პინო (შავი, თეთრი), შარდონე. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 3500-3200°C შეადგენს. უთბილესი თვეების პარას საშუალო ტემპერატურა 20-22°C. ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამი 500-600 მმ, ხოლო სავეგებაციო ჰერიოდში 350-400 მმ. ღვინომასალის კონდიცია - 17-19% შაქრიანობა და 8-10გ/დმ³ მჟავიანობა. ბ) ზღ. დონიდან 750-950 მ სიმაღლის ფარგლებშია არსებული ზონა. აქ გასავრცელებლად რეკომენდებულია: გორული მწვანე, ალიგოტე, ბუდეშური თეთრი, პინო (თეთრი, შავი), შარდონე. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 3200-2800°C. უთბილესი თვეების საშუალო ტემპერატურა 20.5-19.5°C. ნალექების წლიური ჯამი - 600 მმ, სავეგებაციო ჰერიოდში 350-400 მმ. ღვინომასალის კონდიცია - 17-19% შაქრიანობა და 9-11გ/დმ³ საერთო მჟავიანობა [5].

აღვინშენავთ, რომ სიმაღლითი ზონალობის მიხედვით შერჩეულ მიკროზონებში შესაბამისი ჯიშების განლაგება, ხელს შეუწყობს ისტორიულად ცნობილი „ატენური” ტიპისი და სხვა მაღალი გემური დირებულების, უნიკალური ადგილდასახლების ღვინომასალების საწარმოო არეალის აღდგენა-გაფართოებას.

ლიტერატურა - REFERENCES - ЛИТЕРАТУРА

- ვახუშტი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა”, თბილისი, 1941, გვ.42-88
- კოძახია მ. საქართველოს პარა. საქართველოს მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1961, 246გვ.
- მელაძე გ., მელაძე მ. საქართველოს აღმოსავლეთ რეგიონების აგროკლიმატური რესურსები. გამომც. „უნივერსალი”, თბილისი, 2010, 293გვ.
- გოგიტიძე გ., გაგუა გ. სუბტროპიკული მეზოლეობის აგროეკოლოგიური თავისებურებანი შიდა ქართლში. ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები. გეოგრაფია და თანამედროვეობა, თბილისი, 2003, გვ.254-259
- მირგელაშვილი მ., გოგიტიძე გ., კაპაშვილი თ. „დამჩხერლოდამ ტფილისამდე”. სსმმა-ის „მოამბე”, ტ.15, 2006, გვ.15-18

შეგვენახეობა-მედვინეობის აბროკლიმატური კოფენციალი შიდა ქართლში /მელაძე მ.გ., გოგობიძე ვ.მ./საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2014.-ტ.120.-გვ.36-40 -ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

შიდა ქართლში, მტკქრის მარჯვენა სანაპიროზე, მთებით შემოსაზღვრულ მდინარეთა ხეობების მთელ ტერიტორიაზე სიმაღლითი ზონების მიხედვით კლიმატური პირობები ერთფეროვან ცვლილებას განიცდის. ღვინომასალების საწარმოებლად გამოყოფილია მიკროზონები: ევროპული ტიპის სუფრის ღვონომასალების, ზღ.დონიდან 450-600 მ, ბუნებრივად ცქრიალა-„ატენური“ ტიპის ღვინომასალების, ზღ.დონიდან 550-650 მ და ბუნებრივად ცქრიალა-შამპანური ტიპის ღვინომასალების, ზღ.დონიდან 650-950 მ.

UDC 551.502.4

AGROCLIMATIC POTENTIAL OF WINE GROWING AND WINEMAKING OF SHIDA KARTLI
/Meladze M.G., Gogtidze V.M/ Transactions of the Instituti of Hydrometeorology, Georgian Technical University. -2014. -vol. 120. -pp.36-40 - Georg., Summ. Georg., Eng., Russ.

In work about requirement of some grapes varieties to agroclimatic conditions are stated. According to the sums of active temperatures favorable microzones are allocated. From the point of view of winemaking the right coast Shida Kartli can be divided into three microzones: 1. Table wines - 450-600 m above sea level; 2. Naturally-sparkling wines „Atenuri“ - 550-650 m a.s.l.; 3. Naturally-sparkling wines of champagne type - 650-950 m a.s.l.

УДК 551.502.4

АГРОКЛИМАТИЧЕСКИЙ ПОТЕНЦИАЛ ВИНОГРАДАРСТВО-ВИНОДЕЛИЯ ШИДА КАРТЛИ
/Меладзе Г.Г., Меладзе М.Г./ Сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузинского Технического Университета Грузии. -2014.- т. 120 .-с. -Груз., Рез. Груз., Анг., Рус.

В работе изложены о потребности некоторых сортов винограда к агроклиматическим условиям. По суммам активных температур выделены благоприятные микрозоны. С точки зрения виноделия правое побережье Шида Картли можно разделить на три микрозон: 1. Столовых вин - 450-600 м над уровнем моря.; 2. Природно-игристых вин «Атенури» - 550-650 м н.у.м.; 3. Природно-игристых вин типа шампанского - 650-950 м н.у.м.

**კლიმატის ცვლილების გათვალისწინებით ძირითადი სასურსათო კულტურების
მოწყვლადობის სცენარები**

მელაქე გ.ბ., მელაქე მ.ბ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

მსოფლიო მასშტაბით ბოლო სამი-ოთხი ათეული წელია გახშირდა წყალდიდობები, შტორმები და ქარიშხლები, გააქტიურდა მყინვარების დნობა და სხვა სტიქიური მოვლენები. აღნიშნული მოვლენების ცვლილებაში გარკვეული კორელაციები შეაქვს კლიმატის გლობალურ დათბობას, რომელსაც იწვევს ჰაერის ტემპერატურის მატება, რაც დადასტურებულია მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის (WMO) გამოკვლევებით [1]. IPCC-ის ანგარიშის მიხედვით, ამჟამად დედამიწის მიწისპირა ჰაერის საშუალო ტემპერატურა მომატებულია 0.6°C .

კლიმატის გლობალური დათბობა მეტად საყურადღებო მოვლენაა, ამიტომ საჭიროა გავაცნობიეროთ მისგან მოსალოდნელი პოზიტიური თუ ნებატიური გამოწვევები. რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა შევძლოთ კლიმატის ცვლილების მართვა, წინააღმდეგ შემთხვევაში არ არის გამორიცხული დაირღვეს ადამიანის არა მარტო ნორმალური ცხოვრების რიტმი, არამედ მისი ურთიერთობა დედამიწასთან, რომლის გამო შეუძლებელი იქნება სიცოცხლის არსებობა (შენარჩუნება).


კლიმატის ცვლილების ტენდენცია, ძირითადად გლობალური ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგია. აქედან გამომდინარე, ბუნებრივი რესურსები (ნახშირი, ნაგოობი და სხვა) გონივრულად და მიზნობრივად უნდა იქნას გამოყენებული, აგრეთვე უნდა შეიზღუდოს ავტოტრანსპორტიდან და დიდი საწარმოო ქარხნებიდან გამონაბოლქები. რადგან ისინი გამოყოფენ დიდი რაოდენობით ნახშირორჟანგა გაზს, რომელიც ატმოსფეროში აკავებს დედამიწის ზედაპირიდან გამოსხივებული სითბურ გრძელტალდოვან (ინფრაწითელ) სხივებს, რის შედეგად მიწისპირა ჰაერში ტემპერატურა მატულობს „სათბურის ეფექტის“ პროცესის ანალოგიურად. აღნიშნულიდან გამომდინარე, დედამიწის მიწისპირა ჰაერში დაიკვირვება გლობალური დათბობა. მ.ი.ბუდიკო [2] აღნიშნავს, რომ ნახშირორჟანგა გაზის მატება ატმოსფეროში თუ გაგრძელდა 2030-2050 წწ., მაშინ იგი გაორმაგდება და ტემპერატურა მოიმატებს $2-3^{\circ}\text{C}$ -ით, რომლის შედეგად შეიძლება შეიცვალოს მრეწველობის, განსაკუთრებით სოფლის მუშაობის დარგში წარმოების არსებული სისტემა (აგროტექნიკა, მცენარეთა ზრდა-განვითარების პირობები და სხვა).

კლიმატის გლობალური ცვლილების ტენდენცია მკვლევარების მიერ გამოვლენილია საქართველოს ტერიტორიაზეც, რომლის ინტენსივობა იზრდება დასავლეთ საქართველოს ტენიანი სუბტროპიკული ზონიდან აღმოსავლეთ საქართველოსაკენ ($0.2-0.5^{\circ}\text{C}$) შესაბამისად [3, 4]. აღნიშნული ტემპერატურის მატების ტენდენცია თითქოს მცირეა, მაგრამ იგი მომავალში აუცილებლად გასათვალისწინებელია, რადგან არ არის გამორიცხული $4-5$ ათეული წლის შემდეგ მოიმატოს $1-2^{\circ}\text{C}$ -ით და მეტით. ამიტომ წინასწარ უნდა ვიცოდეთ, როგორ ზემოქმედებას მოახდენს მოცემული ტემპერატურები სასურსათო საშემოდგომო და საგაზაფხულო ხორბლის, ქერის, ჭვავის და სხვა აგრობულტურების ფენოლოგიური ფაზების განვითარების მოწყვლადობაზე (მგრძნობიარობაზე). მოცემული კულტურების ფენოლოგიური ფაზების განვითარებიდან ძირითადია ყვავილობის ფაზა, რადგან მის ნორმალურ განვითარებაზე დამოკიდებული მოსავალი. იმ შემთხვევაში, თუ ყვავილობის ფაზის პერიოდში დღეელამური ჰაერის საშუალო ტემპერატურა 20°C და მეტია, ნორმალურად არ მიმდინარებს ყვავილების დამტკერიანების (განაყოფიერების) პროცესი. ამ ფაზაში იგი მოწყვლადია (მგრძნობიარეა) აღნიშნულ ტემპერატურაზე, რომლის შედეგად ხორბლეული კულტურების თავთავები ($20-30\%$ და მეტი) რჩება დაუმტკერავი და მიიღება „ფშუტე“ მარცვლები, რაც მოსავალზე ძლიერ აისახება.

ჩვენი მიზანია, კლიმატის გლობალური დათბობის პირობებში დავადგინოთ მოცემული კულტურების ყვავილობის ფაზას რამდენად ემთხვევა დღედამური ჰაერის საშუალო ტემპერატურის 20°C -იანი დადგომის პერიოდი. აღნიშნულთან დაკავშირებით, საშემოდგომო და საგაზაფხულო ხორბლეული კულტურების წარმოების სცენარისათვის ვითვალისწინებთ ტემპერატურის 1 და 2°C -ით მატებას დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოსთვის

(შესაბამისად). ტემპერატურის 2°C -ით მატება ითვალისწინებს აღმოსავლეთ საქართველოში ტემპერატურის მეტი მატების ტენდენციას.

მოცემული მომავლის სცენარები (ტემპერატურის 1 და 2°C -ით მატება, 2030-2050 წლი), გამოვლილია ECHAM4 რეგიონალური მოდელით, რომელიც შესრულებულია კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენციისათვის საქართველოს მეორე ეროვნულ შეტყობინებაში მოცემული მასალებიდან გამომდინარე [3]. გამოყენებულია საქართველოს მეტეოროლოგიურ სადგურებზე ჩატარებული მრავალწლიური დაკვირვებათა მონაცემები, როგორც საბაზისო (მიმდინარე) [5], კერძოდ, დღედამური ჰაერის საშუალო ტემპერატურის 20°C -ის ზევით გადასვლის თარიღები, ასევე სცენარებით ტემპერატურის 1 და 2°C -ის მატებისას. აღნიშნული სცენარები დაკავშირებული იქნა ზღ. დონიდან სიმაღლეებთან და დამუშავდა სტატისტიკის მათემატიკური მეთოდით, სადაც გამოვლინდა მჭიდრო კორელაციური კავშირები: საქართველოსათვის (საბაზისო) $r=0.89$, სცენარებით ტემპერატურის 1°C -ით მატებისას $r=0.93$, 2°C -ით მატებისას $r=0.91$ (ნახაზი 1).



ნახ. 1 საშუალო ტემპერატურის 20°C -ზე გადასვლის თარიღის (x) დადგომასა და ზღ.დონიდან სიმაღლეს (h) შორის კავშირი

ნახაზიდან ნათლად ჩანს აღნიშნული მჭიდრო კორელაციური დამოკიდებულებები, სადაც სცენარით ტემპერატურის 2°C -ით მატებისას დღედამური ჰაერის საშუალო ტემპერატურა 20°C დაახლოებით 8 დღით ადრე დაიკვირვება საბაზისოსთან (მიმდინარესთან) შედარებით. რაც შეეხება სცენარს, ტემპერატურის 1°C -ით მატებას, იგი იკავებს შუალედურ ადგილს საბაზისო (მიმდინარე) და სცენარით ტემპერატურის 2°C -ის მატებას შორის. აღნიშნული საიმედო კორელაციური კავშირებიდან გამომდინარე, შედგენილია რეგრესიის განტოლებები (ცხრილი 1).

ცხრილი 1. დღედამური ჰაერის საშუალო ტემპერატურის 20°C -ზე გადასვლის თარიღების განსაზღვრის განტოლებები

საბაზისო (მიმდინარე) საქართველოსათვის	სცენარი, ტემპერატურის 1°C -ით მატებისას დასავლეთ საქართველოსათვის	სცენარი, ტემპერატურის 2°C -ით მატებისას აღმოსავლეთ საქართველოსათვის
$U=0.0291h+75.37$	$U=0.0306h+70.02$	$U=0.0305h+67.14$

განტოლებებში U - დღედამური ჰაერის საშუალო ტემპერატურის 20°C -ზე გადასვლის თარიღია 1 - აპრილიდან (ანუ დღეთა რიცხვი 1 - აპრილიდან ტემპერატურის 20°C -ზე

გადასვლის თარიღამდე), h - ზღვის დონიდან სიმაღლე (მ). განტოლებით სარგებლობის წესი მარტივია.

გაგალიოთისათვის. განვსაზღვროთ საგაზაფხულო ხორბლის მწარმოებელ კახეთის რეგიონში, ზღვის დონიდან 500 მ სიმაღლეზე სცენარის მიხედვით, ტემპერატურის 2°C -ით მატებისას როდის დადგება დღედამური პაერის საშუალო ტემპერატურა 20°C . ამისათვის შესაბამის განტოლებაში $U=0.0305h+67.14$ (ცხრ. 1), h -ის ნაცვლად ჩაისმევა მოცემული 500 მ სიღიღე და სათანადო მატებატიკური მოქმედებით მიიღება 82 დღეთა რიცხვი 1 - აპრილიდან ტემპერატურის 20°C -ზე გადასვლის თარიღამდე. მიღებულ რიცხვი (82) გადაითვლება 1 - აპრილიდან და ტემპერატურის 20°C -ზე გადასვლის თარიღის დადგომა იქნება 21 ივნისი.

საშემოდგომო და საგაზაფხულო ხორბლეული კულტურების ყვავილობის პროცესი, რამდენადმე განსხვავებულია დაბლობებზე და ზღვის დონიდან სიმაღლეების მიხედვით. მაგალითად, საშემოდგომო ხორბლეული კულტურების ყვავილობა მიმდინარეობს ზღვის დონიდან 300 მ სიმარლიდან 800 მ სიმაღლემდე საშუალოდ 30 მათხისიდან 10 ივნისამდე; 800 მ-დან 1300 მ სიმაღლემდე 25 ივნისის ჩათვლით, ხოლო 1800 მ-დე და ზევით 15 ივნისამდე [6] (ცხრილი 2).

ცხრილი 2. საშემოდგომო და საგაზაფხულო ხორბლეული კულტურების ვაკილობისფაზების და დღედამური პაერის საშუალო ტემპერატურის 20°C -ზე გადასვლის ვადები

კულტურა	ზღვიდონიდან სიმაღლე (მ)	ყვავილობის ფაზა	საბაზისო (მიმდინარე)	სცენარი, 1°C -ით მატებისას	სცენარი, 2°C -ით მატებისას
საშემოდგომო ხორბლეული	300	30.V	23.VI	18.VI	15.VI
	800	10.VI	8.VII	3.VII	30.VI
	1300	25.VI	22.VII	18.VII	16.VII
	1800	15.VII			
საგაზაფხულო ხორბლეული	300	20.VI	23.VI	18.VI	15.VI
	800	10.VII	8.VII	3.VII	30.VI
	1300	25.VII	22.VII	18.VII	16.VII
	1800	5.VIII			

ცხრილის ანალიზიდან გამომდინარე, ზღვის დონიდან 1300 მ სიმაღლემდე საშემოდგომო და ხორბლეული კულტურების ყვავილობას მითითებულ ვადებში არ ემუქრება არახელსაყრელი დღედამური პაერის საშუალო ტემპერატურის 20°C და მეტის გავლენა. რადგან იგი დაიკვირვება ყვავილობის ფაზის დამთავრების შემდეგ. ხოლო 1300 მ სიმაღლის ზევით დღედამური პაერის საშუალო ტემპერატურა 20°C და მეტი ფაქტიურად არ აღინიშნება. რაც შეეხება საგაზაფხულო ხორბლეულ კულტურებს (საგაზაფხულო ხორბალი, ქერი, ჭვავი, შვრია), ყვავილობის ფაზა მოცემული სიმაღლეების შესაბამისად აღენიშნებათ 20-30 დღით გვიან საშემოდგომო ხორბლეულ კულტურებთან შედარებით. მაგალითად, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში (აღმოსავლეთ საქართველო) საგაზაფხულო ხორბლის ყვავილობის ფაზა, ზღვის დონიდან 1300 მ სიმაღლეზე მოსალოდნელია საშუალოდ 25 ივნისისათვის. მაშინ, როცა კლიმატის გლობალური დათბობის პირობებში სცენარებით ტემპერატურის 1 და 2°C -ის მატებისას დღედამური პაერის საშუალო ტემპერატურის 20°C -ზე გადასვლის პერიოდი (შესაბამისი განტოლებებიდან გაანგარიშებით) ყვავილობის ფაზამდე, სცენარით 1°C -ის მატებისას სიმაღლეების მიხედვით 2-7 დღით ადრე იწყება, 2°C -ით მატებისას 5-10 დღით ადრე, ხოლო საბაზისო თითქმის ემთხვევა ყვავილობის ფაზას (ცხრ. 2).

მაშასადამე, მოცემული კულტურის ყვავილობის ფაზა აღმოჩნდება 20°C და მეტი დღედამური პაერის საშუალო ტემპერატურის პირობებში, რომლის გახანგრძლივებულმა (7-10 დღე) პერიოდმა, შეიძლება არახელსაყრელად იმოქმედოს ყვავილობის დამტკერიანება-განაყოფიერებაზე. ამიტომ, ასეთ პერიოდში სოფლისა მეურნეობის მუშაკებმა და ფერმერებმა უნდა გაითვალისწინო აღნიშნული მოვლენა და უზრუნველყონ მცხენარეები ყვავილობის ფაზაში ნიადაგის ტენით (მორწყვა, კულტივაცია და სხვა), რაც შეარბილებს მითითებული

ლიტერატურა - REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Human Development Report - Fighting Climate Change: Human Solidarity Divided Word. Published for the United Nations Development Programme (UNDP), 2007-2008, p.31
2. Будико М.И. Климат в прошлом и будущем. Гидрометеоиздат, Л. 1980, с.351
3. საქართველოს მეორე ეროვნული შეტყობინება კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონკრეტულისათვის. თბილისი, 2009, გვ.230
4. Tavartkiladze K., Begalishvili N., Tsintsadze T., Kikava A. Influence of Global Warming on the Near-Surface Air Temperature Field in Georgia. Bulletin of The Georgian National Academy of Sciences, vol.6, № 3, 2012, pp.55-60
5. Справочник по климату СССР., Температура воздуха и почвы. Вып. 14, Гидрометеоиздат, Л. 1967, с.373
6. Агроклиматические ресурсы Грузинской ССР. Под. ред. Турманидзе Т.И. Гидрометеоиздат, Л., 1978, с.342

ეაპ 551.583

კლიმატის ცვლილების გათვალისწინებით ძირითადი სასურსათო პულტურების მოყვალადობის სცენარები /მელაძე გ.გ., მელაძე მ.გ./ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2014.-ტ.120.-გვ.41+44-ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

მოცემულია კლიმატის ცვლილების გათვალისწინებით (ტექნიკურის 1 და 2°C -ით მატება დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოსათვის, შესაბამისად) საშემოდგომო და საგაზაფხულო კულტურების (ხორბალი, ქერი, ჭვავი და სხვ.) მოწყვლადობის სცენარები.

აღნიშნული კულტურების ყვავილობის ფაზის ვადების დადგენისათვის შედგენილია პარამეტრი საშუალო ტექნიკურების 20°C -ზე გადასვლის თარიღების განსაზღვრის რეგრესიის განტოლებები ზღვის დონიდან სიმაღლეების მიხედვით.

UDC 551.583

THE MAIN FOOD CROPS VULNERABILITY SCENARIOS CONSIDERING CLIMATE CHANGE.

/Meladze G.G., Meladze M.G./ Transactions of the Institute of Hydrometeorology, Georgian Technical University. -2014. -vol. 120. -pp.41-44 -Georg., Summ. Georg., Eng., Russ.

winter and spring crops (wheat, barley, rye, etc.) vulnerability scenarios (air temperature increasing by 1 and 2°C for Western and Eastern Georgia, respectively) considering climate change are presented.

For estimation of flowering phase of the mentioned crops the regression equations have been constructed to calculate the dates of average daily temperatures above 20°C according to sea level.

УДК 551.583

СЦЕНАРИИ УЗВИМОСТИ ОСНОВНЫХ ПРОДОВОЛЬСТВЕННЫХ КУЛЬТУР С УЧЕТОМ

ИЗМЕНЕНИЯ КЛИМАТА. /Меладзе Г.Г., Меладзе М.Г./ Сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузинского Технического Университета Грузии. -2014. - т. 120 .-с.41-44 -Груз., Рез. Груз., Анг., Рус.

Даются сценарии (при повышении температуры воздуха на 1 и 2°C для Западной и Восточной Грузии, соответственно) уязвимости озимых и яровых культур (пшеница, ячмень, рожь, и т.д.) с учетом изменения климата.

Для установления сроков наступления фаз цветения отмеченных культур составлено уравнение регрессии - определения дат среднесуточных температур воздуха выше 20°C в соответствии высоты над уровнем моря.

**ტურიზმის ბაზითარების პერსპექტივები სვანეთის საკურორტო ზონაში
გატასტროზული ბუნებრივი მოვლენების გათვალისწინებით**

ს. გორგიჯანიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი.

საქართველო გამოიჩინევა თავისი ტურისტული პოტენციალით. მისი ბუნებრივი პირობები და ასევე ისტო-ეთნოგრაფიული ღირშესანიშნაობები ხელს უწყობს ტურისტულ - რეკრეაციული რესურსების განვითარებას. რომელთა ათვისება ინტენსიურად 1960 წლიდან დაიწყო. აშენდა მრავალი ტურისტული ობიექტი, რომელიც ემსახურებოდა როგორც ადგილობრივ, ასევე შემოსულ ტურისტებს. იმ პერიოდში მთავარი მოთხოვნები ტურისტული ობიექტების მიმართი იყო: ა) ტერიტორიის საკურორტო-ტურისტული მეურნეობა; ბ) მატერიალური დარგები სრულად და მნიშვნელოვნად მომსახურებოდა ტურისტებს; გ) ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი უნდა ყოფილიყო ჩაბმული ამ ტურისტულ მეურნეობაში;

როგორც ცნობილია, საქართველოში პირველად შვიდი ტურისტული რაიონი შეიქმნა: აფხაზეთი, აჭარა, კოლხეთი, შოვი-უწყერა, ბორჯომ-ბაკურიანი, თბილისი და აღმოსავლეთ კავკასიონი. მოგვიანებით ზოგი რაიონი გაფართოვდა. [1]

1990 წლამდე ყველა ეს რაიონი ჩართული იყო ტურისტულ საქმიანობაში. თუმცა ამავე პერიოდში აუთვისებელი იყო სხვა ტურისტულ-რეკრიაციული ტერიტორიები. ასეთი რეგიონები იყო: რაჭა (გარევული ნაწილი), მესხეთ-ჯავახეთი, სამაჩაბლო და სვანეთი. ამ რეგიონების ტურიზმის ბიზენსში ჩაბმა კი წარმოადგენდა მნიშვნელოვან წინსვლას ქვეყნის ეკონომიკისათვის. ამიტომ ამჟანდელი ტიურიზმის განვითარების პოლიტიკა მიმართულია იმისკენ რომ სრულად იქნას ათვისებული და დატვირთული ტურისტული ობიექტებით - სასტუმროებით, საოჯახო სახლებით, პოსტელებით, კემპინგებით, სანატორიუმებით და ა.შ.

პირველი რეგიონი რომელიც ათვისების და განვითარების პროცესშია ეს არის სვანეთი, რომელსაც უდიდესი ტურისტული პოტენციალი გააჩნია.

თუ დაგეურდნობით ისტორიულ დოკუმენტებს აღმოჩნდება რომ თვით თამარ მეფე აქ ზაფხულშიც და ზამთარშიც სასურველი სტუმარი იყო. ეს კი იმის მაჩვენებელია რომ კუთხის ტურისტულ პოტენცილზე საუკუნეების განმავლობაში ხდებოდა ორიენტირება. ამჟამად რეგიონში მიმდინარეობს მარავდი ტურისტული ობიექტის მშენებლობა, გაკეთდა საავტომობილო მაგისტრალი.



ფოტო 1, 2. სეტი (მეცნიერებელი რაიონი)

თავად სვანეთი კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთაზე მდებარეობს და საქართველოს ყველაზე მაღალმთიანი კუთხეა. იგი დასავლეთიდან ისაზღვრება კოდორის (სვანეთ-აფხაზეთის), სამხრეთიდან - სამეგრელოსა და ლეჩეუმის, ჩრთილოეთიდან - კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედებით. აღმინისტრაციულა მოიცავს მესტიის და ლენტების რებს. ეს მონაკვეთი ცნობილია სვანეთის კავკასიონად. მისი სიგრძეა 125 კმ კოდორის ქედიდან ფასის მთამდე. კავკასიის თემური ნაწილი თანდათან მაღლდება აღმოსავლეთისაკენ და მაქსიმალურ სიმაღლეს შეარას რაიონში აღწევს. სწორედ აქ არის თავმოყრილი კავკასიონის მთავარი ქედის უმაღლესი მწვერვალები: გისტოლა, თეთნულდი, ჯანდა, შოთა რუსთაველი, შეარა, ნამუვანი, აილამა, წურუნგალა და სხვ. ამ მონაკვეთშივე

განლაგებული კავკასიონის სამხრეთ ფერდობის უგრძესი და უდიდესი მყინვარები: ლეხზირი, წანერი, ტვიბერი და სხვ. სვანეთის კავკასიონის ტერიტორიაზე ცნობილი 18 უღელტეხილი. კავკასიონის სამხრეთ ფერდობის განშტოებებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სვანეთის ქედი, რომელიც მთავარ ქედს გამოყოფა მ. ნამყვანიდან და ბოლოვდება სოფ. ხაიშთან. მისი უმაღლესი მწვერვალია – ლაპილი (4010მ). თანამედროვე მყინვარები ძირითადად თავმოყრილია სვანეთის ქედის ცენტრალურ ნაწილში, მათი საერთო რიცხვი 30-მდეა. მთავარი მდინარე სვანეთის ტერიტორიაზე მდ. ენგურია, რომელიც გამოირჩევა თავისი ენერგო პოტენციალით, ბუნებით და ხეობის რელიეფური სირთულით. შხარისა და ენგურის მყინვარების ბოლოვდან ენგურის ხეობა სუბმერიდიანული მიმართულებისაა და 12-15 კმ მანძილზე ტროგულ ფორმას ინარჩუნებს, სოფ. უშგულის ქვემოთ – 2,5 კმ. მდ. ენგურს მრავალი შენაკადი ერთვის, რომელთაგან აღსანიშნავია მულახის ხეობა. იგი ძირითადად განედური მიმართულებისაა და მასში თავს იყრის ტვიბერის და წანერის მყინვარებიდან ჩამონადენი ნაკადები. [3]

უკავლივე აქედან გამომდინარე სვანეთის ტერიტორია წარმოაიდგენს საკმაოდ საშიშ ზონას სტიქიური მოვლენების მოქმედებებისათვის. აქ ფიქსირდება როგორც წყალდიდობები და მეწყერული ჩამოსვლები, (ფოტო 1.) ასევე ქვათაცვენები და თოვლის ზვავების (ფოტო 2.) ჩამოსვლები.



ფოტო 1. ბერე-მესტიის გზის ოხაკვეთი



ფოტო 2. სვანეთის ზეაგშაში ზონა (თუთულდი-აღიში)

საქართველოში ბოლო დროს განსაზირებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაინგრა 225 საცხოვრებელი სახლი, მათ შორის ლენტების რაიონში 75, ცაგერში 37, მესტიის რაიონში 94, ონის რაიონში 2 და ა.შ.

ზემო სვანეთი კი გამოიჩინა წლის განმავლობაში სტიქიური მოვლენების სიხშირით. აქ არის გავრცელებული მეწყერები, ქვათაცვენები, წყალდიდობები და წყალმოვარდნები; ზამთრის პერიოდში ზვავები. ზვავ შაში ზონები მოცემულია სოფ. ლუხიდან დაწყებული ხაიში-ჭუბერის მონაკვეთებამდე [2]. აღსანიშნავია რომ კველა ამ პროცეს ხელს უწყობს კლიმატური პირობები და ამასთანავე ანთროპოგენური ფაქტორები. ყოველი სტიქიური მოვლენის გავრცელების ზონა საშუალო და მაღალ მთიანი რეგიონებია.

სტიქიური მოვლენები წყლადიდობის სახით დიდი მაშტაბით მოხდა 2003 წელს რამაც დიდი ზიანი მიაყენა მესტიის რაიონს. ხოლო 2011 წელს მთლიანად მოიცვა მულახი-ჟაბეშის ტერიტორია, მდ. მესტიაჭალა. გადაკეტა გზები. დაანგრია მდინარეებზე არსებული ხიდები, საცხოვრებელი სახლები. (ფოტო 3, 4) საბედნიეროდ მოსახლეობაში მსხვერპლი არ ყოფილა, თუმცა გაანადგურა მრავალი სათიბ-სამოვარი ტერიტორიები.

სტიქიური მოვლენების მიუხედავად რეგიონში გაგრძელდა მუშაობა და გაკეთდა სამთო-სათხილამურო ტრასა – პატარე-ზურულდი, რომელიც ემსახურება მრავალ ტურისტს; (I ტრასისი სიგრძე 1900 მ, ხოლო II - 2565 მ), ტრასა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით არის გამართული. საწყის ნიშნულზე (სტარტი 2350მ) აშენდა რესტორანი.

მნიშვნელოვანია, სვანეთის რეგიონში წარმოდგენილი ტურისტული მარშუტები, რაც სანხაობრივად ფართო სპექტრს მოიცავს. ტურისტს შეუძლია ჩასვილიდან პირველ დღეს მოინახულოს დაბა მესტიის ღირშესანიშნაობები, მუზეუმები, მყინვარები, გაშლილი ველები,

სოფლები, სადაც ყველაზე მეტი სამონასტრო კომპლექსებია წარმოდგენილი (ბეჭო, უშგული, მუღახი). (ფოტო 5, 6) საკმაოდ კარგად არის შეთანაწყობილი ძველი და ახალი სვანეთი, რაც ტურისტულ რეგიონს უფრო მიმზიდველს ხდის. ოუმცა აქ აუცილებელია გათვალისწინებული იქნა სტიქიური მოვლენები, რომელებიც სწორედ ამ მარშუტებზე განმეორადობით ხასიათდებიან წლის განმავლობაში.



ფოტო 3. მუღახი – ჯაბეშის მონაკვეთ. მდ. მესტიაჭალა



ფოტო 4. მდ. ენგურის ხეობა



ფოტო 5. ხოჯ. მუღახი



ფოტო 6. უშგული

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე საჭიროა და მიზან მიმართულია შესწავლილი იქნას ყველა სტიქიური მოვლენა, რომელიც ამ რეგიონში ხდება წლის განმავლობაში. მათი მექანიზმები და სიხშირე არსებული ცნობები მოგვცემს პროგნოზს მომავალში ყოველი წლის სეზონების მიხედვით ინტენსივობას სტიქიური მოვლენების მაჩვენებელზე. რაც დადებითად აისახება რეგიონის განვითარებაზე - ტურიზმის განხრით. ასევე გათვალისწინებული უნდა იქნა იქნა სამეურნეო მიწების არასწორი ათვისება, მიწის ეროზია და სხვა ეკოლოგიური პრობლემები.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. მაისურაძე დ. ხუცუშვილი თ. ხომერიკი გ. ვერბეცკი ი. „ტურიზმის შესავალი“ თბილისი გვ. 192. 2010.
2. სალუქევაძე გ. „ზემო სვანეთის ზვავსაშიშროება“. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეროლოგიის ინსტიტუტი. გვ. 67. 2011
3. „საქართველოს ბორბრავია“ - საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. ვ. ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტი. გვ. 270-277. 2000

უაკ 551. 485.215

შურიზების განვითარების პერსპექტივები სვანეთის საგურორფო ზონაში, კატასტროფული ბუნებრივი მოვლენების გათვალისწინებით /ს. გორგიჯანიძე/ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული. 2014, ტ120. გვ.45-48 - ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

საქართველო გამოირჩევა თავისი ტურისტული პოტენციალით. მისი ბუნებრივი პირობები და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ღირშესანიშნაობები, ხელს უწყობს უფრო განავითაროს მისი ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები. 2010 წლიდან მასიურად დაიწყო, ტურისტული რესურსის სრულად გამოყენება, რამაც გამოიწვია სვანეთის ისტორიული კუთხის ახალი სახით დანახვა მსოფლიოს ასპარეზზე. თუმცა, აქ უნდა აღინიშნოს რომ სვანეთი გამოირჩევა, არა მარტო მისი ბუნებით და ღირშესანიშნაობებით, არამედ როგორი და მარავალფეროვანი რელიეფით, კლიმატური პირობებითა და შიდა წყლებით. სვანეთში წარსულში და დღესაც მიმდინარეობს ისეთი კატასტროფული მოვლენები, როგორიცაა: თოვლის ზვავები; მეწყერები; წყალდიდობები და ქვათაცვენები. ამგვარი პროცესები ზიანს აუქნებს, როგორც სოფლის მოსახლეობას, ასევე მათ სასოფლო სავარგულებსაც. ამჟამად კუთხე გამოირჩევა ტურისტული აღმაცნობით, რაც განაპირობებს სტიქიური მოვლენების შესწავლის უფრო დეტალურ და ძირფესვიან გამოკვლევას. აუცილებელია განხილული იუოს ყველა მოვლენა და ჩატარდეს, ის საჭირო დონისძიება, რომელიც შეარბილებს სტიქიური პროცესების განვითარების ტენდენიებს და საკურორტო ზონა უფრო მეტად იქნება დაცული.

УДК 551. 485.215

RERSPECTIVES FOR THE DEVELOPMENT OF TOURISM IN THE RESORT AREA OF

CATASTROPHIC NATURAL EVENTS OF SVANETI /S. Gorgijanidze/ Transaction of the Instituti of Hydrometeorology, Georgian Technical University.-2043,-T.120. pp.45-48- Georg. Summ. Georg., Eng., Russ.

Georgia is significant for it's special supply of tourism. It's natural conditions, historical-ethnographic noteworthy sites, contribute to develope it's recreative resources. Since, 2010 it has been massively started using tour resources wholly, which caused to notice Svaneti from historical view all over the world. However, Svaneti isn't only special for it's nature and noteworthy, but also with it's complex and varied relief, with it's climate conditions and inner waters. In past, as well as today, there are some natural disasters in Svaneti, such as; avalanches, landslide, inundations and stone shed. These kind of processes, harms inhabitants of village, as well as their country arable lands. Currently, the place (Svaneti) is distinguished from the other parts of Georgia for it's tour development, which stipulates more detail and fundamental research . It's necessary to discuss all kinds of events and to take all measures in order to mollify the process, as well as tendencies of developing natural disasters and a health resort will be more protacted.

УДК 551. 485.215

ПЕРСПЕКТИВЫ РАЗВИТИЯ ТУРИЗМА В КУРОРТНОЙ ЗОНЕ СВАНЕТИИ С УЧЁТОМ КАТАСТРОФИЧЕСКИХ ПРИРОДНЫХ ЯВЛЕНИЙ /С. Н. Горгиджанидзе/ Сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузинского Технического Университета Грузии. -2014, т.120с.45-48 Груз. Рез. Груз., Анг., Рус.

Грузия особая страна своим туристическим потенциалом. Природные условия и природно-этнографические особенности способствуют развитию туристо-рекреативных ресурсов. С 2010 года началось полное использование ресурсов, что дело возможность рассмотрения Сванетской исторической области с новой стороны. Хотя, здесь же надо отметить что Сванети характеризуется не только неповторимой природой и историческими особенностями, но и своим сложным многообразным рельефом, климатическими условиями и внутренними водами. В Сванетии как в прошлом, так и сейчас происходят такие катастрофические явления, как снежные лавины, завальы и камнепады, что наносит ущерб местному насилиению. В данное время Сванетия пользуется повышенным туристическим интересом. В связи с этим остро стоит вопрос более детального и основательного изучения стихийных явлений. Необходимо рассматривать все явления и провести соответствующие мероприятия для смягчения стихийны процессов, чтоб лучше защетит курортную зону.

უბკ.551

დასავლეთ საქართველოს ენერგეტიკულად მძღავრ მდინარეთა
ტყეალდიღობის მაშიმალური ხარჯების გაანგარიშება და პროგნოზირება

ქ.მამასახლისი, ი. გელაძე, რ. შველიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

საქართველო პიდრომეტეორგეტიკული რესურსებით ერთ-ერთ უველაზე მდიდარ რეგიონად ითვლება არა მარტო ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს შორის, არამედ მსოფლიოს ბევრ ქვეყნებს შორის.

საქართველო პიდრომეტეორგეტიკული პოტენციალის ხვედრითი მაჩვენებლით შეფასებულია 195 მილიარდ კილოვატსათით, თუმცა დღეს ჩვენი პიდრომეტეოროსადგურები იძლევიან ამ პოტენციალის მხოლოდ 10-12 პროცენტს.

მსოფლიოს ეკონომიკურად განვითარებულ მრავალ ქვეყანაში პიდრომეტეორსები თითქმის მოლიანად ათვისებულია მაგალითად: აშშ-ში 47%, საფრანგეთში 90%, იაპონიაში 85%, შვეიცარიაში 82,5%, იტალიაში 70%, ყოფილ საბჭოთა კავშირში მხოლოდ 18%.

საქართველოში დიდი და მცირე ენერგეტიკის განვითარების კარგი საფუძველია, რადგან იგი მდიდარია წყლის რესურსებით აქ დაახლოებით 26-ათასი მდინარეა, რომელთა საერთო სიგრძე 59,8 ათასი კილომეტრია მათი ბუნებრივი ჩამონადენის ჯამური მოცულობა \approx 65 კმ³ დღესდღეობით აუცილებელია ვილაპარაკოთ წყლის რესურსების დაცვაზე და მის რაციონალურ გამოყენებაზე, რათა ოპტიმალურად გმართოთ წყალსაცავებისა და მდინარეთა წყლის რესურსები და დაცვიცათ გარემო წყალდიდობით მიუწებული კატასტროფებისაგან, რასაც ემსახურება წინამდებარე ნაშრომი.

დასავლეთ საქართველოს როგორაფიული თავისებურებანი, აქ მოსული ატმოსფერული ნალექების სიუხვე და სიხშირე მდინარეებზე ხშირად აპირობებს წლის განმავლობაში რამდენიმე წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების ფორმირებას.

მდინარეთა უმრავლესობა წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების პერიოდში, რომელსაც ხშირად სტიქიური ხასიათი აქვს ტბორავს მიმდებარე ტერიტორიებს, მნიშვნელობან მატერიალურ ზარალს აყენებს სამეურნეო და საწარმოო დანიშნულების ობიექტებს და ზოგჯერ დიდი ეკოლოგიურ საფრთხეს უქმნის რეგიონს [1].

ამ მნიშვნელოვანი ამოცანის გადასაწყვეტად, ჩატარებულია მრავალი წყალსამეურნეო გაანგარიშება, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავზარდოთ წყლის მაქსიმალური ხარჯის გაანგარიშების სიზუსტე და პროგნოზირება, რომელიც გადაწყვეტილია საწყისი დაკვირვების მასალების მკაცრი სტატისტიკური ანალიზის და წყლის მაქსიმალურ ხარჯებზე მოქმედ ფაქტორთა გათვალისწინებით.

ადსანიშნავია, რომ წყლის მაქსიმალური ხარჯის გაანგარიშების თანამედროვე მეთოდიკა ჯერ კიდევ შორსაა სრულყოფისაგან. ეს განსაკუთრებით ეხება მთის მდინარეებს.

დასახული მიზნის მისაღწევად გამოყენებულია მრავლობითი კორელაციის მეთოდი [2], რომელიც ფაქტორთა ერთობლიობის, ან თითოეულის ცალ-ცალკე წილობრივი შეფასების საშუალებას იძლევა, ამასთან ერთად ეს მეთოდი გვაძლევს საძიებელი სიდიდის (მაქსიმალური ხარჯის) განხილვის როგორც ყველა ფაქტორის ფუნქციად და მათგან ყველაზე ეფექტურის შერჩევის შესაძლებლობას.

წყლის მაქსიმალური ხარჯების რაოდენობრივი შეფასებისათვის შერჩეულია ამ მოვლენის ჩამოყალიბების განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორები, რომლის ფუნქციონალურ დამოკიდებულებას აქვს შემდეგი სახე:

$$M \ I = f(F, Q, A, L, I, S, H, i, X)$$

სადაც M - არის ჩამონადენის მაქსიმალური მოდული ($\text{ლ}/\text{წმ}$ კმ³), F - წყალშემკრები აუზის ფართობი (კმ²), Q - წყლის მაქსიმალური ხარჯი (მმ/წმ), A -წყალშემკრები აუზის ტყიანობა (%), L - მდინარის სიგრძე (კმ), I საშ- მდინარის საშუალო დახრილობა, H საშ-წყალშემკრები აუზის საშუალო სიმაღლე (მ), X -ატმოსფერული ნალექების რაოდენობა წყალდიდობების პერიოდში(მმ). მრავლობითი კორელაციის და ნორმალიზაციის ობიექტური მეთოდი შესაძლებელს ხდის მრუდხაზოგანი რეგრესიის განტოლებიდან იმ ფაქტორთა ამოღებას, რომელთა წილი არ

აღემატება კორელაციათა სრული კოეფიციენტის შეფარდებას საშუალო კვადრატული ცდომილების გაორმაგებულ მნიშვნელობასთან (2oR2 /R02) , რადგან ისინი არაეფექტურად არის მიჩნეული.


ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით მრუდხაზოვანი რეგრესიის განტოლებას ექნება შემდეგი სახე:

$$\tilde{U}_0(M) = a_01 \tilde{U}(x) + a_02 \tilde{U}(H_{\text{საშ}}) + a_03 \tilde{U}(L), \quad (2)$$

სადაც $\tilde{U}_0(M)$, $\tilde{U}(x)$, $\tilde{U}(H_{\text{საშ}})$, $\tilde{U}(L)$, ნორმალიზებული ცვალებადია, ხოლო a_01 , a_02 , a_03 - რეგრესიის განტოლების კოეფიციენტები.

წყლის მაქსიმალური ჩამონადენის ხარჯის განსაზღვრისათვის ($M_{\text{მაქ}}$) აგებულია დამოკიდებულებები საწყისი მონაცემებისა $\tilde{U}(M)$, $\tilde{U}(x)$, $\tilde{U}(H_{\text{საშ}})$

და ნორმალიზებულ ცვლადებს \tilde{U}_0 -ს /ნახ.1/, რომელთა დამუშავების შედეგად მიღებულია რეგრესიის გატოლება შემდეგი სახით:



$$\tilde{U}_0(M) = 0,568 \tilde{U}(x) - 0,338 \tilde{U}(H_{\text{საშ}}) - 0,203 \tilde{U}(L) \quad (4)$$

მიღებული შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ წყლის მაქსიმალური ხარჯების ფორმირებაში ატმოსფერული ნალექების წვლილი 58%-ს შეადგენს, მდინარის სიგრძე 28%-ია, ხოლო წყალშემცრები აუზის საშუალო სიმაღლის 14%-მდე.

ნახაზი 1-ის დამოკიდებულებიდან გამომდინარე გვაქვს შემდეგი ფორმულები:

$$\tilde{U}_0(M) = 2,65 \lg M - 7,36 \quad (5)$$

$$\tilde{U}(x) = 5,66 \lg x - 10,9 \quad (6)$$

$$\tilde{U}(H_{\text{საშ}}) = 5,95 \lg H_{\text{საშ}} - 4,46 \quad (7)$$

$$\tilde{U}(L) = 2,66 \lg L - 18,9 \quad (8)$$

საბოლოო მიღებული ფორმულების გათვალისწინებით განტოლება მიღებს შემდეგ სახეს
 $M_{\text{მაქ}}=2440K$, ($\text{ლ}/\text{წ}^3 \text{ მ}^3$) სადაც $K=101,211 \lg x - 0,76 \lg H_{\text{საშ}} - 0,28 \lg L$, ხოლო მაქსიმალურ ხარჯებში გამოსახულ დამოკიდებულებას ექნება შემდეგი სახე $Q_{\text{მაქ}}=2,45KF$ ($\text{მ}^3/\text{წ}^3$) სადაც F -წყალშემცრები აუზის ფართობია ($J2$). მიღებული ემპირიული დამოკიდებულების პრაქტიკაში გამოყენების თვალსაზრისით გაანგარიშებული სიდიდეები შედარებულ იქნა მონაცემებთან, შედარების ანალიზმა გვიჩვენა. მივიღეთ, რომ საშუალო კვადრატული გადახრა არ აღემატება 21%-ს, კორელაციის კოეფიციენტ ტოლია 0,90-ის; რეგრესიის კოეფიციენტი კი 0,93-ის.

ამრიგად, ჩვენს მიერ მიღებული წყლის მაქსიმალური ხარჯის საანგარიშო ფორმულები, რომელთა საშუალებით მარტივად და სწრაფად შეიძლება როგორც საკვლევი რეგიონის, ასევე მსგავსი ფიზ-გეოგრაფიული პირობების მქონე რეგიონების მდინარეებისათვის გამოთვლილი იქნას საანგარიშო კეპთში ასწლიანი განმეორადობის წყლის მაქსიმალური ხარჯის სიდიდე, რომელიც ააღვიდებს მრავალმხრივი დანიშნულების წყლის ობიექტების წყალსამეურნეო და პიდროტექნიკური ნაგებობების პროექტირებას და მათ ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Ж. Мамасахлиси - Расчет максимальных расходов воды дождевых паводков рек Западной Грузии. Сборник научных трудов ГрузНИИГиМ Эрозия почв, селевые потоки и методы борьбы с ним , Тбилиси 1985. с 55-60
2. Г. Алексеев - Объективные методы выравнивания и нормализации корреляционных связей. Л., Гидрометиздат, 1971. 185 с.
3. Ц. Басилашвили - Разработка долгосрочных прогнозов стока рек со сложным водным режимом (Западная Грузия) Тр. ЗакНИГМИ вып 38 Л. Гидрометеоиздат, 1979 с 77-87
4. სვანიძე გ. „ჰიდროერგეტიკული რესურსების გამოყენების პერსპექტივები საქ. მეცნიერებათა აკადემია ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი მაისის 45-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი 1998. 27-30გ.
5. მამასახლისი ქ. წყალდიდობის მაქსიმალური ხარჯების გრძელვადიანი პროგნოზირება როგორ ჰიდროლოგიური რეჟიმის პირობებში. თბილისი-ერევანი აგრალური მეცნიერების კონფერენცია 1999 გვ. 293-298

უაკ.551

დასავლეთ საქართველოს ენერგეტიკულად მძლავრ მდინარეთა წყალდიდობის მაქსიმალური ხარჯების გაანგარიშება და პროგნოზირება/ქ. მამასახლისი, ი.გელაძე, ო. შველიძე/საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრაბული, 2014, გ.120, გვ.49-51. ქართ. რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

ნაშრომში განხილულია დასავლეთ საქართველოს მდინარეებზე გავლილი წყალდიდობების მაქსიმალური ხარჯების გაანგარიშება კორელაციური კავშირების გამოყენების გზით. მის განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორებს შორის მიღებულია საანგარიშო რეგრესიის დამოკიდებულებები, რომლებიც ადგილობრივ მოქმედ ფაქტორთა ერთობლიობის, ასევე თითოეულის ცალ-ცალკე ნაწილობრივი შეფასების, საძიებელი სიდიდის (მაქსიმალური ხარჯის), როგორც უველა ფაქტორის ფუნქციად და მათგან უველაზე ეფექტურის შერჩევის საშუალებას იძლევა.

UDC 881

and Forecast of maximum Flood Flow of energy Powerful Rivers of Western Georgia/Zh. Mamasakhli, I. Geladze, O. Shvelidze/Tansactions of the Instituti of Hydrometeorology of Georgian Technical University. 2014, vol.120 , pp.49-51. Geo., Summary, Geo., Eng., Rus.

The essay focuses on the calculation of maximal expenses of the floods occurred on the rivers in Western Georgia by the way of application of the correlation connections; among the major factors determining the mentioned there are accepted and recognized the approaches of calculative regression which enables to determine the function of all factors for the unity of the local applicable factors as well as the separate assessment of each and the searching volume (maximal cost) and gives the most effective solution for making selection from those.

УДК 551

чет и прогнозирование паводковых расходов энергетически мощных рек Западной Грузии/Ж. Мамасахлиси, И. Геладзе, О. Швельдзе/Сб. Трудов Института гидрометеорологии Грузинского Технического университета. 2014. Т.120, с.49-51 Груз. Рез. Груз.,Англ., Рус.

В данном труде рассмотрены расчеты максимальных паводковых расходов рек Западной Грузии путем использования корреляционных связей. Среди определяющих основных факторов приняты расчеты регрессионной зависимости, которые дают возможность оценки совокупности местных действующих факторов, частичной оценки каждого из них по отдельности а также искомой величины (максимального расхода), как функции всех факторов и возможность выбора самого эффективного из них.

უაკ 551.50.501.7

სუათისის მყინვარების კვლევის შედეგები თანამგზავრული დისტანციური ზონირების საფუძველზე

ლ. შენგელია*, გ. კორძახია*, გ. ოვაური**, ვ. ცომაია*

* საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი.

** ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი

მყინვარების კვლევების შედეგად დადგენილია, რომ გასული საუკუნის ბოლო
ათწლეულებში მყინვარების პარამეტრები ძირითადად მცირდებოდა [1]. ეს პროცესი
ამჟამადაც გრძელდება და დიდი ალბათობით მოსალოდნელია, რომ მომავალ
ათწლეულებშიც გაგრძელდება.

კლიმატის თანამედროვე ცვლილება იწვევს მყინვარების უკანასახევის გაძლიერებას.
მყინვარების ინტენსიური დონის ფონზე იცვლება მყინვარული ჩამონადენი. ეს
განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსათვის, რადგან მყინვარები მნიშვნელოვან როლს
ასრულებს მთელი რიგი რეგიონების წყლის მარაგის ფორმირებაში და წყლის ბალანსის
რეგულირებაში. აუცილებელია აღინიშნოს, რომ მყინვარები იწვევენ გლაციო-
კიდროლოგიური ხასიათის კატასტროფებს, როგორიცაა: მყინვარების ჩამოქცევა, მდინარეთა
კალაპოტის ჩახერგვა და ბუნებრივი კაშხლების წარმოქმნა, მათი გარდევნა და
გამანადგურებელი წყალმოვარდნების გავლა და სხვ. აღნიშნული მოვლენები ხასიათდება
დიდი ეკონომიკური ზარალით და ხშირად ადგილი აქვს ადამიანთა მსხვერპლს. ამ
მოვლენების ბოლო მაგალითია 2014 წლის 17 მაისს ყაზბეგის რაიონში, დარიალის ხეობაში
მომხდარი კომპლექსური ხასიათის ფართომასშტაბიანი კატასტროფა. დევდორაკის მყინვარი
ჩამოქცა, რაც გადაიზარდა დიდი მასშტაბის ღვარცოფულ კატასტროფაში ადამიანთა
მსხვერპლით და დიდი ეკონომიკური ზარალით. ყოველივე ეს დღის წესრიგში აყენებს ამ
პროცესების დეტალური კვლევის აუცილებლობას.

მყინვარების კვლევისათვის აქტუალურია მაღალი გარჩევადობის თანამგზავრული
მონაცემების გამოყენება. თანამგზავრული მონაცემები ხელმისაწვდომია დედამიწის
რესურსებზე დაკვირვების სისტემის {Earth Resources Observation Systems (EROS)} საშუალებით.
მყინვარების მდგრმარეობის შეფასების თვალსაზრისით ერთერთი ყველაზე პერსპექტიულია
GLIMS (Global Land Ice Measurements from Space) პროექტის ფარგლებში მიღებული მონაცემთა
ბაზები. ეს ბაზები შექმნილია თანამგზავრ TERRA-ს ASTER (Spaceborne Thermal Emission and
Reflection Radiometer) სენსორის მონაცემთა საფუძველზე [2]. ეს სენსორი ხილულ და
ინფრაწითელ დიაპაზონებში მოიპოვებს მონაცემებს და მისი მაქსიმალური სივრცითი
გარჩევითობა 15 მ-ს შეადგენს.

სენსორ ASTER-ის მონაცემები რელიეფის 30 მ სივრცითი გარჩევითობის ციფრული
მოდელის (DEM – Digital Elevation Model) გენერირების შესაძლებლობას იძლევა.
მულტისპექტრულ თანამგზავრულ მონაცემებთან ერთად ASTER DEM-ი მყინვარების
შესწავლის მდლავრ ინსტრუმენტად იქცა [3,4].

თანამგზავრიდან დედამიწის ზედაპირის მონიტორინგზე მნიშვნელოვან ზეგავლენას
ახდენს ამინდის პირობები, კერძოდ დრუბლიანობის შემთხვევაში თანამგზავრული
სურათების გამოყენება სხვადასხვა მონაცემების მისაღებად ფაქტიურად შეუძლებელია [5].
მყინვარებზე დაკვირვების შემთხვევაში ამ შემოსაზღვრას ემატება თვით მყინვარის
ზედაპირის მდგრმარეობა, რომელიც თავისუფალი უნდა იყოს თოვლის საფრისგან. კერძოდ
დისტანციური მონიტორინგი უნდა წარმოებდეს თვითონ მყინვარის ზედაპირის, რაც ნიშნავს,
რომ მონაცემები უნდა იყოს პერიოდისათვის აბლაციის მიწურულიდან ხელახალ
გათოვებამდე. თანამედროვე კლიმატის პირობებში საქართველოსათვის ეს დროითი
ინტერვალია აგვისტოს ბოლოდან დასხლოებით ოქტომბრის დასაწყისამდე.

წინამდებარე სამუშაოს მიზანია ჩატარდეს თანამგზავრული დისტანციური ზონდირების
გამოყენებით სუათისის მყინვარების კვლევა. სუათისი – ხეობის ტიპის მყინვარია ხევის
კავკასიონზე, მდებარეობს ხოხის ქედზე, მდინარე სუათისის (თერგის მარცხენა შენაკადი)
აუზში. შედგება სამი ნაკადისაგან (აღმოსავლეთ, შუა და დასავლეთ სუათისის მყინვარები).
მათგან უდიდესია აღმოსავლეთის ნაკადი.


GLIMS-ის მონაცემთა ბაზიდან შეირჩა სუათისის მყინვარების კონტურები, რომლებიც
2004 წლის 25 სექტემბრითად დათარიღებულია. აუცილებელია მოყვანილი მყინვარების

კონტურების დაზუსტება, რაც გამოწვეულია არა მარტო მყინვარების ცვლილებით, არამედ იმითაც, რომ GLIMS-ის მონაცემთა ბაზაში დაცული კონტურები შედგენილია ASTER-ის 15 მ გარჩევადობის თანამგზავრული მონაცემების საფუძველზე, Google Earth-ის სურათების გარჩევადობა კი 0.5-0.8 მ-ია, რაც კონტურების უფრო ზუსტად გავლების შესაძლებლობას იძლევა. მყინვარების კონტურების განსაზღვრა შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით შესაძლებელია როგორც ხელით, ასევე ავტომატურად. კვლევის რეგიონის მცოდნე ოპერატორის მიერ მყინვარების საზღვრების მანუალური დიგიტალიზაცია მყინვარების საზღვრების დიდი სიზუსტით დადგენის შესაძლებლობას იძლევა. სხვადასხვა სპექტრალური არხების კომბინირების საშუალებით მყინვარების კონტურების ავტომატური განსაზღვრა ელექტრომაგნიტური სპექტრის ხილულ და ინფრაწითელ დიაპაზონში მყინვარის ფიზიკის და თოვლის განსხვავებულ სპექტრალურ თვესებებს ეყრდნობა.

GLIMS-ის მონაცემთა ბაზაში დაცული სურათისის მყინვარების კონტურების დასაზუსტებლად გამოიყენეთ პროგრამა Google Earth-ის მაღალი სივრცითი გარჩევითობის (0,5-0,8 მ) და მყინვარების მაქსიმალური აბლაციის პერიოდში (2010 წლის 1 სექტემბერი) გადაღებული თანამგზავრული მონაცემები, რაც მყინვარების კონტურების დიდი სიზუსტით დიგიტალიზაციის საშუალებას იძლევა.

მყინვარის კონტურის დაზუსტებების მიზნით, აგრეთვე გამოვიყენეთ ASTER DEM-ის რელიეფის ციფრული მოდელი. კონტურების დაზუსტება ხდებოდა თანამგზავრული სურათისა და რელიეფის ციფრული მოდელის საფუძველზე შექმნილი იზოხაზების ზედებით. 3D გამოსახულების გამოყენებით დადგინდა წყალგამყოფები, ხოლო ამ უკანასკნელების გამოყენებით დაზუსტდა მყინვარების კონტურები (სურ. 1).

თვალსაჩინოებისათვის სურ. 1-ზე მოყვანილია აღმოსავლეთ სურათისის მყინვარის ჩრდილოეთ ნაწილში, ხოხის ქედის წყალგამყოფების დასადგენად ASTER DEM-ის საფუძველზე გავლებულია სიმაღლის იზოხაზები (10 მ ბიჯით). GLIMS-ის მონაცემთა ბაზაში დაცული კონტურები სურათზე ნაჩვენებია წყვეტილი ხაზით, ხოლო დაზუსტებული კონტურები – უწყვეტი ხაზით.




სურ.1. აღმოსავლეთ სურათისის მყინვარის ჩრდილოეთ ნაწილის სიმაღლის იზოხაზები (10 მ ბიჯით). GLIMS-ის მონაცემთა ბაზაში დაცული კონტურები სურათზე ნაჩვენებია წყვეტილი ხაზით, ხოლო დაზუსტებული კონტურები – უწყვეტი ხაზით.

ქვემოთ მოყვანილ სურ. 2-ზე ნაჩვენებია სურათისის მყინვარების კონტურები. წყვეტილი ხაზით ნაჩვენებია კონტურები GLIMS-ის მონაცემებზე დაყრდნობით, უწყვეტი ხაზით – დაზუსტებული კონტურები, რომლებიც თანამგზავრული დისტანციური ზონდირების გამოყენებითაა მყინვარების მახასიათებლების დასადგენად გამოყენებულია პროგრამა VISAT BEAM. გის-პროგრამა GRASS-ის საშუალებით, დაზუსტებული კონტურის ფაილები VISAT

BEAM-თან თავსებად ESRI-shape ფორმატშია გადაყვანილი. VISAT BEAM პროგრამა საშუალებას გვაძლევს გამოთვლილი იუოს სუათისის მყინვარების სიმაღლის მიხედვით განაწილების ჰისტოგრამა და აიგოს შესაბამისი ჰიპსომეტრიული მრუდი (სურ.3). აბსცისათა დერძები გადაზომილია მყინვარების სიმაღლე ზღვის დონიდან 10 მ ბიჯით, ხოლო ორდინატა დერძები მოცემულია ამა თუ იმ სიმაღლის შესაბამისი პიქსელების რაოდენობა. მიღებული.



სურ. 2. აღმოსავლეთ, შუა და დასავლეთ სუათისის მყინვარების კონტურების თავდაპირველი (წყვეტილი ხაზი) და დაზუსტებული სახე (უწყვეტი ხაზი).




სურ. 3. სუათისის მყინვარების ჰიპსომეტრიული მრუდები.

ფირნის ხაზის სიმაღლის დასადგენად ვისარგებლეთ გეფერის მეთოდით, რისთვისაც მყინვარების კატალოგის და ჩვენს მიერ მიღებული მონაცემები გამოიყენეთ. ჰიპსომეტრიული მრუდის საშუალებით შეიძლება განისაზღვროს მყინვარის აკუმულაციის არის ფართობი [6]. ჰიპსომეტრიულ მრუდზე პიქსელების ჯამური რაოდენობა ფირნის ხაზის სიმაღლიდან მყინვარის უმაღლეს წერტილამდე გამრავლებული ერთი პიქსელის ფართობზე, იძლევა მყინვარის აკუმულაციის არის ფართობს. შესაბამისად, პიქსელების ჯამური რაოდენობა ფირნის ხაზის სიმაღლიდან მყინვარის უველაზე დაბალ წერტილამდე გამრავლებული ერთი პიქსელის ფართობზე იძლევა მყინვარის აბლაციის არის ფართობს. მყინვარის აკუმულაციის და აბლაციის არის ფართობები ჯამში შეადგენენ მყინვარის ფართობს.

ამგვარად გამოვითვალეთ სუათისის მყინვარების მახასიათებლები: მაქსიმალური სიგრძე და ფართობი; მინიმალური და მაქსიმალური წერტილების და ფირნის ხაზის სიმაღ-

ლქ; აბლაციის არის ფართობი. ეს მონაცემები შედარձა მყინვარების კატალოგის [7] მონაცემებს.

სურათ 4-ზე წარმოდგენილია სუათისის მყინვარები, კერძოდ დასავლეთ, შუა და აღმოსავლეთ სუათისის მყინვარები. მყინვარების დასახასიათებლად გავლებულია: а) მყინვარების დაზუსტებული კონტურები, (უწყვეტი ხაზი), ბ) ფირნის ხაზები გამოთვლილი გეფერის მეთოდით (წყვეტილი ხაზი); და გ) დამატებითი მრუდები მყინვარის სიგრძის გამოთვლისათვის (პუნქტირის ხაზი). პუნქტირის ხაზის გასწვრივ ხდებოდა სიგრძის ათვლა, ხოლო წყვეტილი ხაზები მიანიშნება დასავლეთ, შუა და აღმოსავლეთ სუათისის მყინვარების ფირნის ხაზის მდებარეობას.



სურ. 4. სუათისის მყინვარები: а) დაზუსტებული კონტურები (უწყვეტი ხაზი); ბ) ფირნის ხაზები (წყვეტილი ხაზი) და გ) დამატებითი რუდები მყინვარის სიგრძის გამოთვლისათვის (პუნქტირის ხაზი).

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია სუათისის მყინვარების კონტურების დაზუსტების შემდეგ განსაზღვრული მყინვარების პარამეტრები: მაქსიმალური სიგრძე, ფართობი, მინიმალური და მაქსიმალური წერტილების და ფირნის ხაზის სიმაღლე, აბლაციის არის ფართობი. შესადარებლად ცხრილში მოყვანილია აგრეთვე სუათისის მყინვარების მონაცემები სსრკ მყინვარების კატალოგიდან [7].

ცხრილი 1. აღმოსავლეთ, შუა და დასავლეთ სუათისის მყინვარების მახასითებლები.

სახელწოდება	მაქს.სიგრძე მ ^მ		ფართობი მ ^მ ²		მინ.სიმაღ. მ		მაქს.სიმაღ. მ		ფირნ.ხაზ. სიმაღლე მ		აბლ. არის ფართობი მ ^მ ²	
	(1)	(2)	(1)	(2)	(1)	(2)	(1)	(2)	(1)	(2)	(1)	(2)
აღმ. სუათისი	4,45	5,4	8,307	10,2	3230	3000	4532	4580	3615	3500	3,019	3,3
შუა სუათისი	3,98	4,7	2,123	2,5	2975	2850	4734	4760	3583	3520	0,560	0,6
დას. სუათისი	2,95	3,5	1,832	2,4	3284	3070	4444	4460	3707	3600	0,502	0,4

(1)-ით აღნიშნულ სვეტში მოცემულია შედეგები, რომლებიც მიღებულია დისტანციური ზონადირების საფუძველზე; (2)-ით აღნიშნულ სვეტში მოყვანილია მყინვარების კატალოგის მონაცემები.

თუ ჩავატარებთ დაწვრილებით შედარებას დისტანციური მონიტორინგის საფუძველზე მიღებული შედეგების მყინვარების კატალოგის მონაცემებთან, შესაძლოა ჩამოვაყალიბოთ ქვემოთმოყვანილი დასკვნები:

ბოლო 50 წლის განმავლობაში სუათისის ყველა მყინვარის

- მინიმალური სიმაღლე და ფირნის ხაზის სიმაღლე იზრდება;
- სიგრძე და ფართობი მცირდება;
- აბლაციის არის ფართობი ფაქტიურად არ იცვლება, რადგან ერთის მხრივ დნობის შედეგად მინ. სიმაღლე იზრდება, მაგრამ იზრდება აგრეთვე ფირნის ხაზის სიმაღლეც;
- მაქსიმალური სიმაღლე გაზომვის ცდომილების ფარგლებში არ იცვლება.

ჩატარებული კვლევების საფუძველზე მიღებული შედეგები ნათლად მიუთითებენ სუათისის მყინვარებზე კლიმატის რეგიონალური ცვლილების ზემოქმედებას, კერძოდ, დათბობის შედეგად მყინვარების უცანდახევას.

ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ მოყვანილი შედეგები მეტყველებენ, რომ დისტანციური ზონდირების გამოყენებით სუათისის მყინვარების კვლევა ფრიად ეფექტურია.

კვლევა ჩატარებულია სივ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის FR/586/9-110/13 ფარგლებში.

ლიტერატურა – REFERENCES –ЛИТЕРАТУРА

- Chris R. Stokes, Stephen D. GurneyY, Maria Shagedanova, Victor Popovnin. Late-20th-century changes in glacier extent in the Caucasus Mountains, Russia/Georgia: Journal of Glaciology, Vol. 52 No. 176, 2006.
- Bruce, Raup.; Kääb, A.; Kargel, J.S.; Bishop, M.P.; Hamilton, G.; Lee, E.; Paul, Rau, F.; Soltesz, D. Khalsa, S.J.S.; Beedle, M.; Helm, Ch. Remote sensing and GIS technology in the Global Land Ice Measurements from Space (GLIMS) Project.
- Frank P.; Huggel, C.; Kääb, A. Combining satellite multispectral image data and a digital elevation model for mapping debris-covered glaciers. Remote Sensing of Environment. 2004, 89, 510 – 518.
- Bolch, T.; and Kamp, U.; Glacier Mapping in High Mountains Using DEMs, Landsat and ASTER Data, 8th International Symposium on High Mountain Remote Sensing Cartography, La Paz, Bolivia, 22 March, 2005.
- გ. კორძახია, ლ. შენგელია, გ. თვაური. თანამგზავრული ინფორმაციის გამოყენება შავი ზღვის ზედაპირის ტემპერატურის განსაზღვრისათვის. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი 2011, 102 გვ.
- Racoviteanu, A.E.; Williams, M.W.; Barry, R.G.; Optical Remote Sensing of Glacier Characteristics: A Review with Focus on the Himalaya, Sensors 2008, 8, 3355-3383;
- В.Ш. Цомая, О.А. Дробышев, Каталог Ледников СССР, Т. 8, Северный Кавказ, Гидрометеоиздат, Ленинград 1977.

უაკ 551.50.501.7

სუათისის მყინვარების კვლევის შედეგები თანამგზავრული დისტანციური ზონდირების საშუალებები /ლ. შენგელია, გ. კორძახია, გ. თვაური, ვ. ცომაია/ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული. 2014, ტ120. გვ.52-56 - ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

სტატიაში წარმოდგენილია მყინვარ სუათისის სამეცნიერო კვლევის შედეგები. კვლევაში გამოყენებულია მაღალი სივცითი გარჩევადობის თანამგზავრული მონაცემები. სამუშაო შესრულებულია სივ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის FR/586/9-110/13 ფარგლებში.

UDC 551.50.501.7

RESULTS OF THE INVESTIGATION OF THE SUATISI GLACIERS BASED ON SATELLITE REMOTE SENSING / L. Shengelia, G. Kordzakhia, G. Tvauri, V. Comaia/ Transaction of the Institute of Hydrometeorology, Georgian Technical University.-2043,-T.120. pp.52-56 - Georg. Summ. Georg., Eng., Russ.

In the article results of scientific investigations of the Suatisi Glaciers are presented. The high resolution satellite remote sensing are used in the research. The research is carried in frames of the state research grant FR/586/9-11 for fundamental investigations of the Shota Rustaveli National Research Fund.

УДК 551.50.501.7

РЕЗУЛЬТАТЫ ИССЛЕДОВАНИЕ ЛЕДНИКОВ СУАТИСИ С ПОМОЩЬЮ СПУТНИКОВОГО ДИСТАНЦИОННОГО ЗОНДИРОВАНИЯ / Л.Д. Шенгелия, Г.И. Кордзахия, Г.А. Тваури, В.Ш. Цомая/ Трудов Института Гидрометеорологии Грузинского Технического Университета Грузии.-2014.-т.120.-с.52-56 -Груз., Рез. Груз., Анг., Рус.

В статье представлены результаты научных исследований ледников Суатиси. В работе использованы спутниковые данные высокого пространственного разрешения. Исследование выполнено в рамках государственного научного гранта FR//586/9-11 в области фундаментальных исследований Национального научного фонда им. Шота Руставели.

უაკ.551.578.46

**ზეპირისა და მდგრად დონის მიებაზე და მათი განხორციელების
შესაძლებლობა საქართველოში**

მ.სალუქეაძე, ნ. კობახიძე, გ. ჯინჭარაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

საქართველოში ზეპირისა და მდგრად დონის მიებაზე და მათი განხორციელების შესაძლებლობის განხორციელების შესაძლებლობის განხილვის ზონის განსაზღვრა, თუმც აქვე აღვნიშნავთ, რომ ზონის საბოლოო საზღვრის დადგენა ერთხელ და სამუდამოდ შეუძლებელია და დაკავშირებულია მთაში მიმდინარე პროცესებთან. უხვი ნალექი, მეწყერი, ტყეში გაჩენილი ხანძარი, თავად ზეპირი, განსაკუთრებით სპორადული, გადაადგილებისას ცვლის საზღვრებს.

შევიცარიასა და ავსტრიაში ზეპირის ზონებთან სხვაგვარი დამოკიდებულება აქვთ, რადგან მიწის მესაკუთრები ცდილობენ ზეპირის ზონების შემცირებას. იმ მონაკვეთზე, რომელიც ზეპირის ზონაში მდებარეობს, მიწის ფასი დაბალია, ქონების დაზღვევაც გართულებულია. ზეპირის ტერიტორიის ზონის შემცირებისათვის აუცილებელია რისკებისა და სხვადასხვა ხარისხის საშიშროების გათვალისწინება. შევიცარიაში ზეპების წარმოქმნის რისკის კრიტერიუმად მიღებულია ზეპირის დარტყმის ძალა ($>3\text{}/\text{მ-ზე}$) და ზეპების ჩამოსვლის საშუალო დრო (30 წელი).

1993 წლიდან ეკონომიკულ ქვეყნებში, მათ შორის რუსეთშიც მოქმედებს ზეპების რისკის კლასიფიკაცია.

ცხრილი 1. ზეპების წარმოქმნის რისკი

№	რისკის დონე	თოვლის სტაბილურობა	ზეპების ჩამოსვლის რისკი
1	დაბალი	თოვლი ძალიან სტაბილურია	ზეპების მოულოდნელი ჩამოსვლა გამორიცხულია
2	შეზღუდული	თოვლი საშუალო მდგრადობისაა	ზეპების ჩამოსვლა შესაძლებელია თოვლის მასაზე ძლიერი ზემოქმედების დროსაც. ცალკეულ ფერდობებზე შესაძლებელია საშუალო და დიდი ზეპების ჩამოსვლა
3	საშუალო	თოვლი სუსტი მდგრადობისაა	ზეპების ჩამოსვლა შესაძლებელია თოვლის მასაზე მცირედი ზემოქმედების დროსაც. ცალკეულ ფერდობებზე შესაძლებელია საშუალო და დიდი ზეპების ჩამოსვლა
4	მაღალი	უმეტეს დამრეც ფერდობებზე თოვლი არასტაბილურია	რიგ ადგილებში შესაძლებელია კატასტროფული ზეპების ჩამოსვლა
5	ძალიან ძლიერი	თოვლი არასტაბილურია	დიდი ზომის ზეპების ჩამოსვლა შესაძლებელია თითქმის ყველა ზეპირისაში შევერდობიდან

ჩვენს მიერ საქართველოს ტერიტორიაზე 10 ათასზე მეტი ზეპშემკრებიდან, იმ 2550 ზეპშემკრების შესწავლისას, რომლებიც დასახლებულ პუნქტებსა და სხვადასხვა რიცხვების ემუქრება, რისკების გათვალისწინების ძალისა და ზეპშემკრების ფართობის მიხედვით მოვახდინეთ. გამოვყავით სუსტი, საშუალო, ძლიერი და განსაკუთრებით ძლიერი ზეპირის ზონები (ცხრ.2) [1].

მსოფლიოში ზეპირის ზონების მრავალი მეთოდი გამოიყენება. უპირველესად აუცილებელია ტერიტორიის ზეპირის ზეფასების შეფასება და დროული პროგნოზის გაცემა, ხალხის ინფორმირება და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა. შესაძლებელია ზეპების ხელოვნურად გამოწვევა, მაგრამ გათვალისწინებული უნდა იყოს თოვლის საფარის მდგრადობა, რომლის დადგენის შემდეგ შესაძლებელია ზეპების ჩამოშვება სროლით, აფეთქებით, თოვლის კარნიზის მოხერხვის გზით და სხვა. ყირგიზეთში - ასაფეთქებელ ნივთიერებას ათავსებენ ზეპირის ფერდობის ძირში და აფეთქების შედეგად წარმოქმნილი საჰაერო ტალღის გავლენით ხდება ზეპირის გამოწვევა. არსებობს მეორე, როცა თოვლის საფარის წარმოქმნამდე ხდება ზეპირის კერის ზონების დანაღვა და

სასურველ დროს პულტის მეშვეობით ხდება ზვავის გამოწვევა. შვეიცარიაში წელიწადში 5-დან 10 ათასამდე აფეთქება ხდება, აშშ-ში კი ორჯერ მეტი. ზვავის კერაში შესაძლებელია სპეციალური ორმოების ამოთხრა, სადაც მიწოდებული იქნება ორი ტიპის გაზი, რომელთა შეერთების შედეგად წარმოქმნილი საპაერო დარტყმა იწვევს ზვავს. შესაძლებელია ეთოლოგიური იქნება, ანუ ანტიფრიზის გამოყენებაც, ხიბინებში ტექნიკურ მარილსაც იყენებდნენ, მაგრამ ეს ცდები ექსპერიმენტის დონეზე დარჩა. ფრანგებს დაპატენტებული აქვს ვიბროსტენდი, რომელიც ზვავის კერაში თავსდება და მისი ჩართვა ხდება ზვავსაში შროების დაღვომისთანავე. ამ სტენდის გამოყენება შვეიცარიაშიც ხდება.

ცხრილი 2. საქართველოს სუსტი, საშუალო, ძლიერი, განსაკუთრებით ზვავსაში შროები

შეგვება- მიმღები	სუსტი დაშუალობა, ტ/მ ²	შეგვება- მიმღები	ზვავის ჩამოსვლის შედეგი
სუსტი	<20	<0,004	შენობების დაზიანება, ხის მსუბუქი ნაგებობების ნგრევა, ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხება, ხეებისა და ხეხილის დაზიანება
საშუალო	21-40	0,005-0,008	ადამიანთა მსხვერპლი, საცხოვრებელი სახლებისა და დამხმარე ნაგებობების დაზიანება, გზებზე მოძრაობის შეფერხება, ტყის განადგურება
ძლიერი	41-60	0,009-0,012	ადამიანთა მსხვერპლი, ნგრევა, მოძრაობის შეჩერება, გზებისა და ხიდების დაზიანება, ელექტროგადამცემი ხაზებისა და მათი საყრდენი ბოძების დაზიანება, ნარგავებისა და ტყის განადგურება
განსაკუთ- რებით ძლიერი	>60	>0,012	ადამიანთა მსხვერპლი, მიწისპირა შენობების ნგრევა, გზების დაზიანება, მიწისზედა სადენების, მრავალწლიანი ნარგავებისა და ტყის განადგურება

ზვავებისაგან დაცვა შესაძლებელია მიმართულების შემცვლელი ნაგებობით, კედელით, ხელოვნური ზვავსადენით, ზვავისმჭრელით, შემაჩერებელი და შემაფერხებელი ნაგებობის მოწყობით, მაგ. დამბით, ბორცვით, ტრანშეით, ზვავგამშვები ნაგებობით - კერძოდ გალერეით.

აქტიურ ზვავსაწინააღმდეგო მეთოდებს განკუთვნება თოვლის საფარზე ზემოქმედების თანამედროვე GAZEX სისტემა, რომლის დახმარებით ხდება უანგბადისა და პროპანის (1:6 წილით) ნარევის შეერთების შედეგად ზვავების გამოწვევა. მეორე ასეთი პნევმატური იარაღი AVALANCHE -ია, მან საარტილერიო იარაღი შეცვალა. ჭურვი-რაკეტა სპეციალური თხევადი კომპონენტებისა და დეტონატორისაგან შედგება. მესამე სისტემა - DAISYBELL (ე.წ. ზარი) საშუალებას იძლევა ძნელადმისაწვდომ ზვავშემკრებების ცალკეულ უბნებზე მოახდინოს ზემოქმედება. იგი ტროსით არის მიერთებული ვეტმფრენზე და დისტანციური ინიცირებით, მაღალი მდგრადობის ფოლადისაგან დამზადებულ კონუსში, ახდენს უანგბადისა და წელიადის ნარევის აფეთქებას და მის მიმართვას თოვლის საფარისაკენ [2].

განვიხილეთ რა ზვავსაწინააღმდეგო დონისძიებების სახეობები მათი გამოყენების შესაძლებლობა საქართველოს პირობებში შემდეგნაირად გვესახება:

1. შეუძლებელია ზვავების პროფილაქტიკური ჩამოშვება დასახლებულ ტერიტორიებზე;
2. აუცილებელია ყოველი მთიანი რეგიონისათვის დეტალური კვლევა და დროული ზვავსაწინააღმდეგო დონისძიებების გატარება;
3. მნიშვნელოვანია ნაკრძალი ტერიტორიების გაზრდა და ტყის ჭრის აკრძალვა გარდა სანიტარული ჭრისა, გასათვალისწინებელია, რომ ტყის აღდგენას ათეულობით წელი ჭირდება;

4. შესაძლებელია საქართველოს სამხედრო გზასა თუ სხვა გადასასვლელებზე ზვავების პროფილაქტიკური ჩამოშვება დაბომბვის ან აფეთქების გზით, ასევე ვერტმფრენიდან წინასწარ განსაზღვრულ აღგილებში ასაფეთქებელი მასალის ჩამოგდება;
 5. აუცილებელია დასახლებული პუნქტებისა და სტრატეგიული ობიექტების ზვავებისაგან დაცვის გენერალური გეგმის შემუშავება.
- საქართველოს ოგ რაიონებში, განსაკუთრებით სვანეთსა და აჭარაში, შესაძლებელია ზვავებისაწინააღმდეგო გალერეის მშენებლობა, ზვავის მიმართულების შემცვლელი დამბის აგება. ასევე თუ გავითვალისწინებო 2013 წლის 10-12 დეკემბერს აჭარაში მაღალი ძაბვის ანძების დაზიანებას და რამოდენიმე დღით რეგიონის პარალიზებას, ანძების დასაცავად რეინაბეტონის კედლის ან ზვავისმკრელის აშენებაა რეკომენდირებული. აქტიური ღონისძიებების გატარება თოვლის საფარზე ზემოქმედების თანამედროვე სისტემებით GAZEX, AVALANCHE, DAISYBELL შესაძლებელია საქართველოს სამხედრო გზის დაუსახლებელ მონაკვეთებზე და სხვა უდელტეხილებზე, სადაც მკაცრად იქნება დაცული უსაფრთხოების ღონისძიებები.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. L.Khaldani, M. Saluqvadze. Vulnerabilite, Hazards and multiple risk assesment for Georgia. Natural Hazards, Jurnal of the Prevention and Mitigation of natural hazards DOI 10. 1007/s.2012, 37 p.
2. თ. ცინცაძე, ბ. ბერიტაშვილი, ნ. კაპანაძე, მ. სალუქვაძე. საქართველოში სეტყვასთან და ზვავებთან ბრძოლის სამუშაოთა განახლების საკითხისათვის. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრაბული, 2014, ტ.120, გვ. 61-78.

უაკ. 551.578.46

ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებები და მათი განხორციელების შესაძლებლობა სამართველოში. /გ. სალუქვაძე, ნ. კობახიძე, გ. ჯინჯარაძე/. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრაბული, 2014, ტ.120, გვ.57-59. ქართ. რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

ზვავების წარმოქმნის რისკის გათვალისწინებით განხილულია საქართველოში გასატარებელი ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებები და მათი გამოყენების პრაქტიკული ასპექტები.

UDC. 551.578.46

ANTI-AVALANCHE MEASURES AND THE POSSIBILITY OF THEIR IMPLEMENTATION IN GEORGIA. /M. Saluqvadze, N. Kobakhidze, G. Jincharadze/ Transactions of the Institute of Hydrometeorology of Georgian Technical University. 2014, vol.120 , pp.57-59. Geo., Summary, Geo., Eng., Rus.

Article considers risks related to avalanche hazards, possible anti-avalanche measures and the practical aspects of their implementation in Georgia.

УДК. 551.578.46

ПРОТИВОЛАВИННЫЕ МЕРОПРИЯТИЯ И ВОЗМОЖНОСТЬ ИХ ОСУЩЕСТВЛЕНИЯ В ГРУЗИИ. / М. Салуквадзе, Н.Кобахидзе, Г.Джинчарадзе/. Сб. Трудов Института гидрометеорологии Грузинского Технического университета. 2014. Т.120, с.57-59. Груз. Рез. Груз .,Англ., Рус.

Рассмотрены противолавинные мероприятия, проведение которых возможно в Грузии и практические аспекты их использования с учетом риска образования лавин.

უაკ 551.482.215.3.627.14

საქართველოს მდინარეთა მაშიმალური ხარჯების ბრძევადიანი პროცენტის ირება
ბასილაშვილი ც.ხ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

დედამიწაზე კლიმატის გლობალური დათბობის, ასევე ბუნების ანთროპოგენური დატვირთვის შედეგიდ, მოსალოდნელია კატასტროფული მოვლენების გამომწვევი ფაქტორების მკვეთრი ცვლილება, რაც ზეგავლენას მოახდენს ამ მოვლენების მასშტაბებსა და სიხშირეზე.

მდინარეთა წყალდიდობების მაქსიმალური ხარჯების პროგნოზირება აუცილებელია გარემოს ეკოლოგიური მდგრადობის, ასევე მოსახლეობის უსაფრთხოებისა და რაც მთავარია, წყალსამეცურნეო ობიექტების (ჰიდროელექტროსადგურების, წყალმომარაგებისა და სარწყავი სისტემების), აგრეთვე სარკინიგზო და საავტომობილო გზების დაცვის, ნაპირდაცვითი ნაგებობებისა და სასოფლო – სამეცურნეო ნაოქსების დატოვობის საშიშროებისა და სხვა საფრთხეების შერჩილებისა და ზარალის შემცირების მიზნით. მაგრამ მაქსიმალური ხარჯების ფორმირების სირთულის გამო, მათი პროგნოზების შემუშავება, განსაკუთრებით მთის მდინარეებზე, წარმოადგენს ყველაზე რთულ პრობლემას ჰიდროლოგიაში.

რთული მთიანი რელიეფის პირობებში მდინარეთა აუზები და მათი მაქსიმალური ხარჯები გარკვეული თავისებურებებით ხასიათდებიან, ამიტომ ყველი მდინარის აუზისათვის უნდა შემუშავდეს ინდივიდუალური საპროგნოზო მეთოდიკა. გარდა ამისა, აქ ცალკეული მდინარის წყლის მაქსიმალური ხარჯების მაფორმირებელი კლიმატური ფაქტორების ყოველწლიური ცვალებადობა სხვადასხვა ხასიათს ატარებს. ამის გამო, წყლის მაქსიმალური პიკების წარმოქმნა არ მიმდინარეობს ერთნაირად, არ არიან იდენტური და გამოირჩევიან ინდივიდუალური თავისებურებებით.

მდინარის ჩამონადენის პროგნოზირების საკითხი, პირველ რიგში, დამოკიდებულია მის აუზში მოქმედი ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების პუნქტების რაოდენობაზე, მათ განლაგებაზე, დაკვირვების რიგზე, მის სისწორესა და რაც მთავარია, მათ ინფორმაციულობაზე. საპროგნოზოდ შეიძლება მხოლოდ იმ პუნქტების მონაცემების გამოყენება, რომლებიდანაც რეგულარულად მიიღება შესაბამისი ოპერატიული ინფორმაცია.

თანამედროვე ჰიდროლოგიურ საპროგნოზო მოდელებში გამოიყენება სხვადასხვა ელემენტები: მდინარის ჩამონადენი, ატმოსფერული ნალექები, ჰაერის ტემპერატურა, აორთქლება, კონდენსაცია, ინფილტრაცია, ტრანსპირაცია და სხვა. ასეთი მოდელების გამოყენება შესაძლებელია იქ, სადაც პარგად არის განვითარებული ჰიდრომეტეოროლოგიური ქსელი და რეგულარულად მიიღება სათანადო ინფორმაცია მდინარის აუზის სხვადასხვა სიმაღლითი ზონიდან, რითაც ხდება მდინარის ჩამონადენის ფორმირების რეალური პირობების აღრიცხვა. სადღეისოდ, საქართველოში არსებული მცირე, მეტად შეზღუდული ინფორმაციის გამო, ვერ ხერხდება მდინარეთა ჩამონადენის ფორმირების კახონზომიერებათა დადგენა ობიექტურად და საპროგნოზოდ თანამედროვე რთული საპროგნოზო მოდელების გამოყენება.

წყალდიდობის პიკების გავლა საქართველოს მდინარეთა კალაპოტებში ხდება გაზაფხულ – ზაფხულის პერიოდში, ძირითადად მაის – ივნისში. მათი მაქსიმალური ხარჯების გრძელვადიანი ოპერატიული პროგნოზების გაცემა ხდება ყოველწლიურად 23 – 24 მარტს, როცა ცნობილია მხოლოდ გასული შემოდგომა – ზამთრის პერიოდის ჰიდრომეტეოროლოგიური ფაქტორების გარკვეული ხაწილის მონაცემები. მაქსიმალური ხარჯები კი ფორმირდება 1 – 3 თვის შემდეგ ექსტრემალურ ვითარებაში, როცა ხდება თოვლის ინტენსიური დნობისა და თავსება წვიმების თანხედრა.

მართალია საპროგნოზო პერიოდის (1 – 3 თვის) განმავლობაში მოქმედი ფაქტორების გავლენა მნიშვნელოვანი და გადამწვევებია მაქსიმალური ხარჯის განსაზღვრისათვის, მაგრამ მათი წინასწარ გაანგარიშება შეუძლებელია. განსაკუთრებით დიდი სირთულე იქმნება იმის გამო, რომ პროგნოზების გაცემის დროს მარტის თვეში არ არსებობს 1 – 3 თვის შემდეგ მოსული იმ თავსება წვიმისა და თოვლის ნადნობი წყლის ოდენობა, მათი ინტენსივობა, განაწილება დროსა და სივრცეში და კიდევ სხვა მონაცემები, რომლებიც განაპირობებენ მაქსიმალური პიკის სიდიდეს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მდინარეებზე წყალდიდობის დაწევის დროს, როცა თოვლის საფარი უკვე უმნიშვნელოა, შერეული საზრდოობის მაქსიმუმებთან ერთად, მდინარეებზე აღინიშნება მაღალი წვიმის წყალმოვარდნები, რომლებიც ზოგჯერ აჭარბეგენ თოვლის ინტენსიური დნობით გამოწვეულ მაქსიმუმებს.

იმისათვის, რომ პროგნოზების გაცემის დროს არსებული საინფორმაციო მონაცემებიდან გამოვალინოთ პროგნოზირებისათვის რეპრეზენტატიული ფაქტორები, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მათ დამოკიდებულებათა შესწავლას საპროგნოზო ჩამონადენზე. ამისათვის ჩატარდა კორელაციური ანალიზი საპროგნოზო მაქსიმალურ ხარჯებსა და წინა პერიოდის იმ ფაქტორებს შორის, რომელთა ინფორმაცია შეიძლება მიღებული იყოს ოპერატიული პროგნოზების გაცემის დროს. კერძოდ გამოკვლეულ იქნა მონაცემები: შემოდგომა – ზამთრის პერიოდის მდინარის ჩამონადენის (Q , $\text{მ}^3/\text{წ}$), ატმოსფერული ნალექების (R , მმ), თოვლის წყალშემცველობის (W , მმ) და ჰაერის ტემპერატურის ($\theta, ^\circ\text{C}$). ამ ანალიზის საფუძველზე, მდინარის მაქსიმალური ხარჯის ფორმირების ფიზიკური არსის გათვალისწინებით, ვადგენთ პირველდაწყებით გაფართოებულ სტატისტიკურ საპროგნოზო მოდელს ყველა შესაძლებელი მოქმედი ფაქტორის გამოყენებით.

ცალკეული მდინარის გარკვეული ჰიდსროკეთისათვის იხილებოდა დაკვირვებათა ერთიანი პარალელური რიგები ყველა მონაცემებისა და მაქსიმალური ხარჯების ფორმირების ფიზიკური არსის გათვალისწინებით დგებოდა გაფართოებული სტატისტიკური საპროგნოზო მოდელი ყველა შესაძლებელი მოქმედი ფაქტორებით:

$$Q_m = f(R_{IX-XI}, \theta_{XII-II}, R_{XIII-III}, Q_{XIII-III}, W_{III}, R_{III}, \theta_{III}, Q_{III}) \quad (1)$$

ამ საპროგნოზო მოდელებში, ფაქტორების დანაწევრებით, ცალკეული პერიოდის მაჩვენებლებად, გათვალისწინებულია ჰიდრომეტეოროლოგიური ელემენტების დინამიკის მოქმედება მდინარის მომავალ ჩამონადენზე. მაგალითად, წყალდიდობების მაქსიმალურ ხარჯებზე სხვადასხვანაირად მოქმედებს მოსული ნალექები: შემოდგომაზე – R_{IX-XI} , ზამთარში – R_{XII-II} და გაზაფხულზე – R_{III} .

ფაქტორების ასეთი კომპლექსური მოქმედების განხილვას, მართალია ბევრი დადებითი მხარე აქვს, მაგრამ საპროგნოზო დამოკიდებულებაში ბევრი ცვლადების შეუვანა არ არის გამართლებული არც თეორიულად, რადგან ამით მცირდება შესაბამისი საპროგნოზო განტოლების მდგრადობა, და არც – მისი პრაქტიკული მოხმარების თვალსაზრისით, ოპერატიული ინფორმაციის შეზღუდულობის გამო.

ყველა სავარაუდო ფაქტორიდან უნდა შეირჩეს ყველაზე ოპტიმალური ნაერთი საპროგნოზო პრედიქტორებისა. პრაქტიკული გამოყენებისათვის უმჯობესია, მინიმალური რაოდენობის პრედიქტორებით მივიღოთ მაქსიმალური სიზუსტე და დორულობა (წინსწრება) საპროგნოზო პერიოდში (1 – 3 თვე) მოქმედი ფაქტორების გარეშე, რომელთა გრძელვადიანი პროგნოზირება ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება.

ამის განსახორციელებლად გამოყენებული იქნა მრავალფაქტორიანი საპროგნოზო მოდელის კვლევის მეთოდი [1], სადაც, გარკვეული მათემატიკური კრიტერიუმებით [2], გამოირიცხება არაეფექტური და დუბლირებული ფაქტორები. შემდეგ, დარჩენილი ფაქტორებიდან, მრავალბიჯიანი გამორიცხვის მეთოდის [3] გამოყენებით, ვადგენთ ოპტიმალურ საპროგნოზო მოდელს. მდ. მტკვარზე ქთბილისთან (1) მოდელის სათანადო ანალიზის შედეგად, მიღებულია შემდეგი ოპტიმალური ვარიანტები კავშირებისა:


$$\begin{aligned} Q_m &= f(R_{XII-II}), & 0.63; \\ Q_m &= f(R_{XII-II}, \theta_{III}), & 0.70; \\ Q_m &= f(R_{XII-II}, \theta_{III}, Q_{III}), & 0.75; \\ Q_m &= f(R_{XII-II}, \theta_{III}, Q_{III}, R_{III}), & 0.77; \\ Q_m &= f(R_{XII-II}, \theta_{III}, Q_{III}, R_{III}, R_{IX-XI}), & 0.78. \end{aligned} \quad (2)$$

როგორც ირკვევა, საპროგნოზო კავშირების სიზუსტე, (r) ფაქტორების დამატებით იზრდება 0,63-დან 0,78-მდე. საპროგნოზო განტოლებათა განსაზღვრის დროს ვიყენებთ მრავალფაქტორიან დამოკიდებულებათა პირდაპირ და შეიძრულებულ გაშლას, როცა განიხილება განტოლებათა ორი სისტემა ცალკეული პრედიქტორების დამატებით. ეს საშუალებას გვაძლევს, ერთდროულად მოვახდინოთ კვლევა პრედიქტორების შემცირების, საპროგნოზო დორულობის გაზრდისა და მათი სიზუსტის ამაღლების. შედეგად ვღებულობთ

სხვადასხვა ფაქტორის შემცველ საპროგნოზო დამოკიდებულებას სხვადასხვა ინფორმაცით, სიზუსტითა და წინსწრებით. მდ. მტკვარზე მიღებული საპროგნოზო განტოლებები მოცემულია 1 ცხრილში, შესაბამისი [4] შეფასებათა კრიტერიუმებით, სადაც პროგნოზების მთავარი კრიტერიუმი (s/s) ცალკეული ფაქტორების დამატებით იცვლება 0.78-დან 0.67-მდე, პროგნოზების გამართლება $P = 59 - 70\%$, კორელაციის კოეფიციენტი ფაქტობრივსა და პროგნოზულ მაქსიმალურ ხარჯებს შორის იცვლება 0.63-დან 0.77-მდე. ნახ. 1 გვიჩვენებს ფაქტობრივი და პროგნოზული მაქსიმალური ხარჯების თანხმედრას.

ცხრილი 1. წყალდიდობის მაქსიმალური ხარჯების ($Q_m \text{ m}^3/\text{წ}$) საპროგნოზო განტოლებები მდ. მტკვარზე – ქ.თბილისთან

საპროგნოზო განტოლებები	შეფასებათა კრიტერიუმები		
	S/d	P%	r
$Q_m = 6,16R_{XII-II} + 551$	0,78	59	0,63
$Q_m = 5,65R_{XII-II} - 57,70_{III} + 745$	0,73	62	0,70
$Q_m = 4,76R_{XII-II} - 84,60_{III} + 2,21Q_{III} + 538$	0,68	66	0,75
$Q_m = 4,62R_{XII-II} - 82,40_{III} + 2,13Q_{III} + 4,43R_{III} + 404$	0,67	70	0,77



ნახ. 1. ფაქტიური (1) და პროგნოზული (2-5) მაქსიმალური წყლის ხარჯები მდ. მტკვარზე ქ. თბილისთან.

1 ცხრილის მიხედვით, მდ. მტკვრის წყლის მაქსიმალური ხარჯის ოპერატიული პროგნოზი ქ. თბილისთან, ყველ წელს შეიძლება გაიცეს თებერვლის ბოლოს, რომლისთვისაც საჭიროა ზამთრის პერიოდის (XII-II) ატმოსფერული ნალექების ჯამი, შემდეგ მარტის თვეში პარალელური ტემპერატურის, ნალექებისა და წყლის ხარჯების დამატებით, ეტაპობრივად, მოხდება პროგნოზის დაზუსტება.

ასეთი კვლევის შედეგად შემუშავებულ იქნა წყალდიდობის მაქსიმალური ხარჯების პროგნოზები აგრეთვე მდ. ენგურზე, რიონზე, ყვირილაზე, ხანისწყალზე, დიდ ლიახვზე, ქსანზე, თეთრ არაგვზე, შავ არაგვზე, ფშავის არაგვზე და ალაზანზე. ყველა პიდროვეთისათვის მიღებულია რამდენიმე სახის განტოლება, რომელთა პირველ რიგებში არის მცირერიცხოვანი ფაქტორების შემცველი განტოლება და აქვს ნაკლები სიზუსტე, ვიდრე შემდგომ მოყვანილ განტოლებით მიღებულ პროგნოზებს, რომელთა გასანგარიშებლად ფაქტორების მეტი რაოდენობაა, მაგრამ სამაგიეროდ მეტი სიზუსტეა.

იმ შემთხვევაში, თუ ოპერატიული პროგნოზის შედგენის დროს ჯერ არ არის მიღებული ოპერატიული ინფორმაცია რომელიმე საპროგნოზო ფაქტორის შესახებ, მაშინ საპროგნოზო განტოლებაში საანგარიშოდ მიახლოებით შეიძლება გამოყენებული იქნეს მისი ნორმის მნიშვნელობა.

ოპერატიული პროგნოზის გაცემის დროს, საპროგნოზო განტოლებებით გაანგარიშებული მაქსიმალური ხარჯების პროგნოზული მნიშვნელობა უნდა შეედაროს საპროგნოზო მაქსიმალური ხარჯების ნორმას და მის ექსტრემალურ მნიშვნელობას, რათა გამორიცხული იყოს შემთხვევითი შეცდომები, ხოლო პროგნოზის ანომალური მნიშვნელობის დროს, უნდა გაკეთდეს სათანადო ანალიზი და მიღებული იქნეს შესაბამისი დონისძიებები ასეთი

შემთხვევებისათვის. პროგნოზების წინსწრება საშუალებას იძლევა, მოსალოდნელი მაღალი პიკის შემთხვევაში, დროულად ჩატარდეს ყველა პრევენციული დონისძიება, რათა დაცული იქნება ყველა მნიშვნელოვანი ობიექტი და არ მოხდეს გაუთვალისწინებელი ზარალი და მსხვერპლი.

ასეთი პროგნოზებით მოსალოდნელი საშიშროების დროულად შეტყობინება საშუალებას იძლევა შემცირდეს ის მატერიალური ზარალი, რაც შეიძლება მოყვეს მაღალი წყალდიდობის პიკებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ჰიდროობიექტებისათვის, როგორიცაა ენგურისა და რიონის ჰესების კასკადი, კინგალის წყალსაცავი და ალაზნის სარწყავი სისტემა.

შემდგომში საპროგნოზო მეთოდები უნდა ეყრდნობოდნენ უფრო სრულყოფილ საწყის მონაცემებს ჩამონადენის ფორმირების ზონებიდან. ამისათვის საჭიროა რადიოლოკაციური საღდურების ორგანიზაცია, რომლებიც დიდი რადიუსის ფარგლებში აღწერენ ატმოსფერულ მოვლენებს. პროგნოზების მეთოდების სიზუსტე გაიზრდება აგრეთვე, ატმოსფერული ნალექებისა და ჰაერის ტემპერატურის რიცხვითი პროგნოზების შემუშავების შედეგად.

ლიტერატურა - REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Basilashvili Ts. The method of mountainous river water flow forecasting. Annals of Agrarian Sciences, 2006, vol 4, № 1, 75-80.
2. Алексеев Г.А. Объективные методы выравнивания и нормализации корреляционных связей. Ленинград, Гидрометеоиздат, 1971, 362.
3. Дрейпер Н., Смит Г. Прикладной регрессионный анализ. Перевод с английского. Москва, Статистика, 1973, 392.
4. Наставление по службе прогнозов, Ленинград, Гидрометеоиздат, 1962, Раздел 3, Часть 1, 193.

უაპ 551.482.215.3.627.14

საქართველოს მდინარეთა მასიმალური ხარჯების გრძელვადიანი პროგნოზირება /ბასილაშვილი ც.ზ./ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული. 2014, ტ.120. გვ.60-63. - ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს. შედგენილია საქართველოს მდინარეთა წყლის მაქსიმალური ხარჯების გრძელვადიანი (1 – 3 თვის წინსწრების) პროგნოზები, რომელთა გამოყენებით შესაძლებელია თავიდან ავიცილოთ დიდი მატერიალური ზარალი.

UDK 551.482.215.3.627.14

LONG TERM FORECASTS OF MAXIMUM DISCHARGE OF GEORGIAN RIVERS /Basilashvili Ts. Z./ Transaction of the Instituti of Hydrometeorology, Georgian Technical University.-2014,-T.120. pp.60-63.-Georg. Summ. Georg., Eng., Russ.

Long term forecasts (one-three months) of maximum discharge of Georgian rivers have been made which allow to avoid significant material losses.

УДК 551.482.215.3.627.14

ДОЛГОСРОЧНОЕ ПРОГНОЗИРОВАНИЕ МАКСИМАЛЬНЫХ РАСХОДОВ ВОДЫ РЕК ГРУЗИИ

/Басилашвили Ц.З./ Сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузинского Технического Университета Грузии.-2014.-т.120.-с.60-63. -Груз., Рез. Груз., Анг., Рус

Составлены долгосрочные (с заблаговременностью 1 – 3 месяца) прогнозы максимальных расходов, с использованием которых можно предотвратить большой материальный ущерб.

უკ. 551.583/551.324

პლიმატის ცვლილების განვითარების შეზასხვა მდ. ენგურის ჩამონადენზე

ბერიტაშვილი ბ., გაპანაძე ნ., შვანგირაძე გ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი, თბილისი

გლობალური დათბობის ზეგავლენით, რომელიც 1980-იანი წლების შედეგების საგრძნობლად გააქტიურდა, მსოფლიოს ყველა რეგიონში, მათ შორის კავკასიის ცენტრალურ ნაწილშიც, აშკარად დაიკვირვება მყინვარების დეგრადაცია. მყინვარების დნობისა და უკან დახევის პირობებში იზრდება მყინვარული კვების მქონე მდინარეთა ჩამონადენი. ამავე დროს, ეს პროცესი მყინვარების ფართობისა და მათში ყინულის მარაგის შემცირების გამო იწვევს ჩამონადენის დაკლებას, რომელიც მყინვართა სრული გადნობის შედეგ მხოლოდ ატმოსფერული ნალექებისა და მიწისქვეშა საზრდოობის ჩამონადენად იქცევა. უახლესი შეფასებით [1], კავკასიონის მყინვართა დეგრადაციის ამჟამინდელი ტემპისა და ტემპერატურის პროგნოზირებული ზრდის პირობებში ეს მთიანი სისტემა ყინულოვანი საფარისაგან, სავარაუდოდ, 2150-2160 წლებისთვის გათავისუფლდება.

საქართველოს მესამე ეროვნული შეტყობინების ფარგლებში მიღებული შედეგების თანახმად, 2100 წლისთვის ზემო სვანეთის რეგიონში, რომელიც მოიცავს მდ. ენგურის აუზის ზედა ნაწილს, 1986-2010 წწ. პერიოდის საშუალოსთან შედარებით მოსალოდნელია საშუალო წლიური ტემპერატურის მომატება 3.7°C -ით. ეს უდავოდ გავლენას მოახდენს აუზის მყინვარების გეომეტრიულ ზომებსა და მყინვარულ ჩამონადენზე. ამ გავლენის მიახლოებით შეფასებისათვის გამოვიყენეთ არსებული მონაცემები აუზის მყინვართა უკე დაფიქსირებული დეგრადაციისა და რეგიონში ტემპერატურის გაზომილი და პროგნოზირებული ცვლილების შესახებ.

ცნობილია, რომ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრისათვის მდ. ენგურის აუზში აღრიცხული იყო 250 მყინვარი, რომელთა საერთო ფართობი 288.3 კმ^2 აღწევდა [2]. მყინვარების უმეტესობა (73%) მცირე ზომის იყო და მათი ფართობი 0.5 კმ^2 -ს არ აღემატებოდა. შედარებით დიდი მყინვარებიდან გამოირჩეოდა ლეხზირი (38.1 კმ^2), ქვიში (13.8 კმ^2), ჭალაათი (13.2 კმ^2) და დოლრა (8.8 კმ^2). მყინვარული ჩამონადენი მდინარეებიდან ნენსკრა, ნაკრა, დოლრა, მესტიაჭალა, მულხრა და სხვ. იკრიბება პიდროლოგიურ საგუშაგო ხაიშთან არსებულ ჩამკეტ კვეთში, სადაც 1937-1980 წწ. მონაცემებით ენგურის საშუალო წლიური ხარჯი შეადგენდა $110 \text{ მ}^3/\text{წმ}$, ხოლო სრული წლიური ჩამონადენი 345 კმ^3 . მყინვარული წილის ჩამონადენის გათვალისწინებით (26,2%), მდ. ენგურის საშუალო წლიური მყინვარული ჩამონადენი ამ პერიოდში ტოლი იყო 0.908 კმ^3 , ანუ 908 მლნ. მ^3 .

იმავე ნაშრომის მიხედვით, 1890-1965 წწ. პერიოდში მდ ენგურის აუზში მყინვართა საერთო ფართობმა დაიკლო 332 კმ^2 -დან 288 კმ^2 -მდე, რაც 13%-იან შემცირებას შეადგენს. ეს პროცესი შესაბამისობაშია მყინვართა გლობალური მასშტაბით დაფიქსირებულ დეგრადაციასთან, რომელიც 1890 წლიდან მზარდი ტემპით მიმდინარეობა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში [3].


ენგურის აუზში მყინვართა ფართობის შემცირების ტემპერატურული პირობების შესახებლად განვიხილეთ დაკვირვების ხანგრძლივი რიგის მქონე, რეგიონში უახლოების მეტეოსადგურის – ქუთაისის მონაცემები (მესტიაში დაკვირვებები მხოლოდ 1936 წელს დაიწყო), რომელთა თანახმად 1906-1913 და 1954-1963 წწ. ქვეპერიოდებს შორის საშუალო წლიური ტემპერატურა 0.3°C -ით გაიზარდა [4] პიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტში არსებული მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ 1959-1991 წწ. 33 - წლიან პერიოდში ქუთაისისა და მესტიის მეტეოსადგურებზე საშუალო წლიურ ტემპერატურებს შორის კორელაციის კოეფიციენტის მნიშვნელობა 0.882 შეადგენს. ეს შესაძლებელს ხდის საკმაო მიახლოებით ჩავთვალოთ, რომ მე-20 საუკუნის პირველ ნახევრში ქუთაისში დაფიქსირებული საშუალო წლიური ტემპერატურის 0.3°C -ით მატება ვრცელდება ზემო სვანეთის რეგიონზედაც, რამაც განაპირობა ენგურის აუზში მყინვართა ფართობის ზემო ნახევრები შემცირება.

ამრიგად, მდ. ენგურის აუზში დათბობის შედეგად მყინვარების ფართობის შემცირების შეფასებას საფუძვლად შეიძლება დაედოს ის ფაქტობრივად დადგენილი გარემოება, რომ 1890-1965 წწ. პერიოდში მყინვარების საერთო ფართობი 13%-ით შემცირდა, რაც თან სდევდა ზემო სვანეთის რეგიონში საშუალო წლიური ტემპერატურის 0.3°C -ით მომატებას.

მესამე ეროვნულ შეტყობინებაში ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ მესტიაში 1961-2010 წწ. ნახევარსაუკუნოვან პერიოდში საშუალო წლიურმა ტემპერატურამ 0.3°C -ით მო-

იმატა. თუ დავუშვებთ, რომ ამ პერიოდის ხანგრძლივობა დაახლოებით ტოლია ზემოთ ხსენებული 1906-1963 წწ. პერიოდისა და ორივე მათგანისათვის დამახასიათებელია ტემპერატურის ერთნაირი მატება 0.3°C -ით, გარკვეული მიახლოებაში შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პირველ პერიოდში დაფიქსირებულ მყინვართა ფართობის 13% -იანი შემცირება იმავე ტემპით გაგრძელდა მეორე, 1961-2010 წწ. პერიოდშიც. ამ შემთხვევაში გასული საუკუნის მნიშვნელობა 288 კმ² შეიცვლება ამჟამინდელი სავარაუდო 251 კმ²-ით, ხოლო მყინვარული ჩამონადენი პროპორციულად შემცირდება 908 მლნ მ³-დან 790 მლნ მ³-მდე წელიწადში.

რაც შეეხება 2100 წლამდე სამომავლო შეფასებას, კლიმატური პროგნოზით 2100 წლისთვის ზემო სვანეთში 1986-2010 წწ. საშუალოსთან მიმართებაში მოსალოდნელია საშუალო წლიური ტემპერატურის 3.7°C -ით მომატება. პროგნოზის თანახმად, 2050 წლამდე ტემპერატურის მატება შედარებით ნელი ტემპითაა ნავარაუდევი (1.2°C - ით), ხოლო საუკუნის ბოლოსთვის კიდევ 2.5°C -ით. 2010-2100 წწ. პერიოდში ტემპერატურის ზრდის გამარტივებული წრფივი სახით წარმოდგენის შემთხვევაში დროის მთელ ამ მონაკვეთში ტემპერატურის მატების საშუალო მნიშვნელობად შეგვიძლია ავილოთ პროგნოზირებული ნაზრდის დაახლოებით ნახევარი, ანუ 1.8°C . ეს სიდიდე დროის აღნიშნულ მონაკვეთში (2010-2100 წწ.) შეიცავს ექვს 0.3°C -იან ნაზრდს და თუ დაგუშვებთ, რომ თითოეულ ეტაპზე 0.3°C -იან მატებას თან სდევს წინა ეტაპზე არსებულ მყინვართა ფართობის 13%-იანი შემცირება, მივიღებთ, რომ 2100 წლისთვის ენგურის აუზში მყინვართა ამჟამინდელი სავარაუდო ფართობი 251 კმ² შემცირდება 108 კმ²-მდე, ანუ 57%-ით (ნახ. 1). შესაბამისად, მყინვარის ფართობსა და მის ჩამონადენს შორის ზემოთ დაშვებული წრფივი დამოკიდებულების პირბით, აუზში წლიური მყინვარული ჩამონადენიც ამჟამინდელ სავარაუდო 790 მლნ მ³-დან, მყინვართა დამატებითი დნობის გაუთვალისწინებლად, 340 მლნ მ³-მდე შემცირდება.



ნახ. 1. ენგურის აუზში მყინვართა ფართობის შემცირების სავარაუდო დინამიკა მიღებული დაშვებების პირობებში

ნახაზიდან ჩანს, რომ მიღებული დაშვებების პირობებში აგებული მრუდის ექსტრაპოლაციით, მდ. ენგურის აუზში მოსალოდნელი იქნება ყინულოვანი საფარის გაქრობა 2170-2175 წლებისთვის. ეს შედეგი ახლოსაა ნაშრომში [1] მიღებულ ზემოთ ხევებულ სავარაუდო პროგნოზთან.

მყინვარული ჩამონადენის ტემპერატურაზე დამოკიდებულების შესწავლისას ერთ-ერთ საკვანძო საკითხს წარმოადგენს მყინვარის ზედაპირიდან მოღნობის კავშირი ჰაერის ტემპერატურასთან. ამ პროცესს ჩვეულებრივ ახასიათებენ საშუალო დღედამური ტემპერატურის 1°C -ით მომატებისას მყინვარის ზედაპირის სიმაღლის ცვლილებით. ტემპერატურის გარდა აღნიშნულ პროცესებზე გავლენას ახდენს მყინვარის ზედაპირის მდგომარეობა და ექსპოზიცია, მზის რადიაცია, ქარი, ნალექები და სხვ. თანახმად [5]-ისა, კავკასიონის პირობებში ტემპერატურის 1°C -ნაზრდზე მოდინების საშუალო სიჩქარე 6.5 მმ შეადგენს.

ცხრილში 1 მოცვანილია მყინვარ ჭალაათზე სხვადასხვა პერიოდში ჩატარებულ გაზომებით შედაპირულ მოდნობასა (აბლაციასა) და მყინვარულ ჩამონადენს შორის კავშირის დასადგენად.

ცხრილი 1. კავშირი ზედაპირულ მოდნობასა (აბლაციასა) და მყინვარულ ჩამონადენს შორის მყინვარ ჭალაათზე ჩატარებული გაზომების სხვადასხვა სერიების მიხედვით

გაზომებისჩატარების თარიღი	პერიოდი	ზედაპირული მოდნობა (აბლაცია), სმ	მოდნობის, (აბლაციის) საშუალო სიჩქარე, სმ/დღე	მყინვარული ჩამონადენის საშ. ნარჯი, მ³/წთ	მყინვარული ჩამონადენი, მლნ მ³	ჩამონადენი მდგრ. მოდნობაზე, 10³ მ³/წთ	საშ. ტემპერატურის გადასხანის ნორმირდან მეტიაში, °C
1959 წ. [5].	0.9.0.7-01.08	186.2	8.4	—	18.417	9.9	+0.8
	01.08-01.09	229.4	7.4	—	19.094	8.3	-1.6
	ჯამი	415.6			37.511		
	საშუალო	79	—		9.1	-0.4	
2000 წ. [6]	16.06-05.07	138	6.9	7.1	12.269	.9.	+3.8
	15.07-01.08	218	8.7	8.4	18.144	8.3	+4.9
	01.08-01.09	188	6.1	10.9	29.194	15.5	+1.6
	01.09-15.10	218	4.8	5.8	22.550	10.3	+0.4
	ჯამი	762			82.1		
	საშუალო	6.6	8.0		10.7	+2.7	
2011 წ. [7]	08.07-14.07	74	12.3	15.5	8.035	10.8	
	14.07-20.07	56	9.3	14.6	7.569	13.5	+2.1
	20.07-28.07	71	8.9	14.7	10.161	14.3	
	28.07-04.08	73	10.4	15.1	9.132	12.5	
	04.08-14.08	97	9.7	9.7	8.381	9.6	+0.6
	14.08-23.08	56	5.6	8.4	7.258	13.0	
	ჯამი	427			50.536		
	საშუალო	9.4	13.0		12.1	+14	

2011 წელს თუ გეოგრაფიის ინსტიტუტის გლაციო-პიდროლოგიური ექსპედიციის მიერ მიღებული მონაცემების შედარება წინა ორი ექსპედიციის (1959 წ და 2000 წ) შედეგებთან [5,6] ცხადყოფს, რომ მყინვარ ჭალაათზე მოდნობის მახასიათებლებმა იმატა. კერძოდ, თუ აბლაციის წინა სეზონებზე აბლაციის საშუალო სიჩქარე 7-8 სმ/დღე ფარგლებში იცვლებოდა, ბოლო სეზონზე ამ სიდიდემ დღეში 9 სმ გადააჭარბა. იგივე ითქმის 1 მმ მოდნობაზე მყინვარული ჩამონადენის შესახებაც, რომელმაც 1959 წლის 9 100 მ³/მმ-დან 2011 წელს იმატა 12 100 მ³/მმ-დაც. ეს გარემოება როგორც ჩანს დაკავშირებულია მყინვარის დეგრადაციის ტემპის დაჩქარებასთან, რაც გამოიხატება მისი ზომების შემცირებაში და მისი ზედაპირის ნაშალი მორენული მასალით დაფარულობის ზრდაში.

გასული ნახევარი საუკუნის მანძილზე მყინვარ ჭალაათზე ჩატარებული საველე გამოკვლევების შედეგები საშუალებას იძლევა პირველ მიახლოებაში შეფასდეს კლიმატის მიმდინარე დათბობის მოსალოდნელი გავლენა მდ. ენგურის ჩამონადენზე. ეს შეფასება დაეყრდნობა იგივე დაშვებებს, რაც გამოყენებული იყო მყინვართა ფართობების მოსალოდნელი ცვლილების შეფასებისას.

კერძოდ, თუ საშუალო დღედამური ტემპერატურის 1°C-ით მომატებას შეესაბამება მყინვარიდან მოდნობის მატება 6.5 მმ-ით, 2010-2100 წწ. პერიოდში ტემპერატურის თანაბარი საშუალო მატება 1.8 °C-ით გამოიწვევს აბლაციის პერიოდში მყინვარ ჭალაათიდან

მოდნობის მატებას 12.6 მმ-ით დღეში. 4-თვიანი პერიოდის (120 დღე) განმავლობაში ეს მოგვცემს $120 \times 12.6 = 1510$ მმ მოდნობის ნამატეს. ჭალაათიდან 2000 წელს დაფიქსირებული 7 620 მმ საშუალო ნადნობისათვის ეს სიდიდე 20%-იან ნაზრდს შეესაბამება. თუ დაკუშვებთ, რომ ენგურის აუზში ეს შედეგი ყველა მყინვარზე შეიძლება გავრცელდეს, მივიღებთ, რომ 2010-2100 წლის პერიოდში ტემპერატურის მატებას 3.7°C -ით შეუძლია მოდნობის ზრდის შედეგად ჩამონადენის გაზრდა დაახლოებით 20%-ით. საბოლოო ჯამში, ეს შედეგი გამოიწვევს მყინვართა ფართობის შემცირებით გამოწვეული მყინვარული ჩამონადენის შემცირებას 2010 წელითან შედარებით 40%-ით. ამასთან დაკავშირებით, მე-20 საუკუნის შუა პერიოდისათვის არსებული 908 მლნ მ³-ისა და 2010 წლისთვის შეფასებული 790 მლნ მ³-ის ნაცვლად 2100 წელს მოსალოდნელი იქნება მყინვარული ჩამონადენის შემცირება დაახლოებით 470 მლნ მ³-მდე წელიწადში, რაც საგ. ხაიშე მდ. ენგურის გასულ საუკუნეში საშუალო სრული წლიური ჩამონადენის თითქმის 14% იქნება.

გასული საუკუნის შუა პერიოდში საგ. ხაიშისთვის დადგენილი სრული წლიური ჩამონადენი $3 \cdot 465 = 1395$ კმ³ მყინვარული ჩამონადენის გარეშე შეიცავდა 2557 კმ³ ატმოსფერული ნალექებისა და მიწისქვეშა კვების ჩამონადენს. ზემოთ ჩატარებული შეფასების თანახმად, 2100 წლისთვის მყინვარული ჩამონადენი სავარაუდოდ, იქნება $0.470 \cdot 2100 = 997$ კმ³. ამის გათვალისწინებით, $997 - 2557 = -1560$ კმ³ მდ. ენგურის სრული ჩამონადენი შესაძლებელია შემცირდეს $2557 + 0.470 = 2604$ კმ³ - მდე, რაც მე-20 საუკუნის შუა პერიოდისთვის არსებული ჩამონადენის 87% შეადგენს.

ამრიგად, 2100 წლისთვის გლობალური დათბობის შედეგად მყინვარული ჩამონადენის 2010 წლის დონესთან შედარებით მოსალოდნელი 40%-იანი შემცირების ეფექტი აისახება საგ. ხაიშე გასული საუკუნის შუა პერიოდისთვის მდ. ენგურის სრული ჩამონადენის 13%-ით შემცირებაში.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს მიერ მდ. ენგურის აუზში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით მყინვარის ფართობისა და მყინვარის ჩამონადენის სავარაუდო ცვლილების შეფასებები მიახლოებითი ხასიათისაა და ეყრდნობა მთელ რიგ დაშვებებს, რაც ქმნის ცალკეულ ბაურკვევლობებს. მათი არსებითი შემცირებისათვის მსგავსი შეფასებები უნდა ჩატარდეს მოდელური გამოთვლების გზით, რასაც საფუძვლად დაედება თანამგზავრული მონაცემები მდ. ენგურის აუზში მყინვართა რაოდენობისა და ზომების განაწილების შესახებ, ასევე მყინვართა დონებისა და მყინვარული ჩამონადენის ფორმირების პროცესების ამსახველი თანამედროვე მათემატიკური მოდელები და ექსპერიმენტული მონაცემები.

ლიტერატურა - REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. ცომაია ვ. და სხვ. გამყინვარების საუკუნოვანი დინამიკა კავკასიაში და მყინვართა გაქრობის კლიმატური პროგნოზი გლობალური დათბობის ფონზე. სტუ ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომები, 2013, ტომი 119, გვ. 197-203.
2. Сванидзе Г.Г., Цомая В.Ш. (ред.) Водные ресурсы Закавказья. Гидрометеоиздат, Ленинград, 1988.
3. Climate Change 1995. The Science of climate Change IPCC, 1996, p. 371
4. ბერიტაშვილი ბ., კაპანაძე ნ., ჩოგოვაძე ი. გლობალურ დათბობაზე საქართველოში კლიმატის რეაგირების შეფასება. ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2010. გვ. 59.
5. Владимиров Л.А. Водный баланс Большого Кавказа., Мецнера, Тбилиси, 1970, с.3
6. ჯანელიძე პ. (რედ) მყინვარების როლის შეფასება საქართველოში მდინარეული ჩამონადენის ფორმირებაში. საქ. კლიმ. ცვლილ. ეროვნული საგენტო, თბილისი, 2000.

უაკ. 551.583/551.324

კლიმატის ცვლილების გავლენის შეფასება მდ. ენგურის ჩამონადენზე. /ბერიტაშვილი ბ., კაპანაძე ნ., შვანგირაძე მ./ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2014.-ტ.120.-გვ.64-68.-ქართ.; რეზ.ქართ., ინგლ., რუს. მდინარე ენგურის აუზის მყინვართა უკვე დაფიქსირებული დეგრადაციისა და რეგიონში ტემპერატურის გაზრმილი და პროგნოზირებული ცვლილებების საფუძველზე შეფასებულია გლობალური დათბობის სავარაუდო გავლენა მყინვართა ფართობებსა და მყინვარულ ჩამონადენზე. შესწავლითა მყინვარ ჭალაათზე ჩატარებული გაზრმვების სხვადასხვა სერიების მიხედვით დამოკიდებულება ზედაპირულ მოდნობასა და მყინვარულ ჩამონადენს

შორის, გარკვეული დაშვებების გათვალისწინებით პროგნოზირებულია 2100 წლისთვის ენგურის აუზში მყინვართა ამჟამინდელი სავარაუდო ფართობების, მყინვარული ჩამონადენისა და სრული ჩამონადენის შემცირების რაოდენობრივი მაჩვენებლები.

UDC 551.583/551.324

